# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 ივნისი, 2008 წელი.

№ 108 (5966)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




## ქუდზე კაცი – საკამეჩისთვის თუ სახელმწიფოსთვის? 4

### მარიამ ლორთქიფანიძე: ისინი გაყალბებული ისტორიით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ საქართველოში არსებობდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო 7



## სპიკერი ჯარისკაცი არ არის 3

## აფხაზეთი – „ლოლიტე ვიტა" დენის კალაზე 10-11





## საქართველო შავ დღეშია, 4 როდემდე?

უმუშევრობამ რომ მოსახლეობის 80 პროცენტი მოიცვა, მაღალი ბიუროკრატიის ანაზღაურება ყოველგვარი ზომიერების ფარგლებს გაშორდა, სამაგიეროდ ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომა სრულიად აუნაზღაურებელია. ნუთუ ხელისუფლება არ უნდა ფიქრობდეს, ეს დამოკიდებულება ქვეყანას სანამდე მიიყვანს?!

## 100 პატიმარი უშედეგოდ შიმშილობს 3

## ნავთობს 5 ცეცხლი უკიდია!..



ფიქრები ხმამაღლა

# „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...“

**„...ან მხოლოდ მოგონებასღა შემორჩა, რარიგ აღფრთოვანებული ვიყავით ქართველებით... საკმაო იყო ვინმეს წამოსცდენოდა „ქართველები მოდიან“, რომ გული გვევსებოდა სითბოთი და სიყვარულით. გარშემო ყველაფერი უკეთესდებოდა... სიყმაწვილიდან მთელი ჩვენი ცხოვრება გაჯერებული იყო ქართული არომატით...“**



შემდეგ ამ მოგონების ავტორი, რომელსაც სათაურიც მგრძნობიარე აქვს, — „სიყვარულისთვის“, — იგონებს ახალგაზრდობისდროინდელ ერთ ეპიზოდს, როცა თბილისის აეროპორტში ის და მისი კბილა მეგობარი მოსკოვის რეისის გაფრენას რომ ელოდებოდნენ. მოსაღამოვდა, შიოდათ, ჯიბეში გახვრეტილი შაურიანიც არ ედოთ — ქალაქში სეირნობისას სულ შემოხარჯვოდათ ფული. და რა გგონიათ, ვინ გაუწოდა მათ მოწყალების ხელი? აეროპორტის დამლაგებელმა, გამხდარმა, გალეულმა დედაკაცმა. რუს ახალგაზრდებს მან ორი პური და ორი ბოთლი ბორჯომი მიუტანა. ამ დროიდან მოკიდებული, — განაგრძობს მოგონების ავტორი — თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ის საღამო და ის ქართველი ქალი, იმ პურისა და იმ ბორჯომის სურნელი და გემო, მთელი ცხოვრება თან დამყვება...“

არ დაიჯეროთ!!

აქ მზაკვრობა და თითლიბაზობა იმალება!

ამ მოგონების ავტორი იური ლუჟკოვია!

ტყისპირებში რომ ერთი სახე-




ობის ლამაზად დაწინწკლული სოკო იზრდება, მაგრამ ძალზე შხამიანი, მომაკვდინებელი რომაა, ისეთია ლუჟკოვის ეს ნახელავიც.

სიამოვნებით კითხულობ, გულსაც კი აგიჩუყებს, ისე თბილად წერს რუსებისა და ქართველების სულიერ სიახლოვეზე, ურთიერთსიყვარულზე, „არ შეიძლება ეს გავაყოლოთ წყალს — არც მეტეხის, არც მოსკვარეკის ხიდიდან“. მაგრამ მოსკოვის გოროდნიჩმა თავისივე ნათქვამი თავად გააყოლა წყალს ნევის ხიდიდან, როცა იმ დღეებში პეტერბურგში ყოფნისას უზოდიშოდ განაცხადა: დროა საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, ქართველებთან აფხაზებს ისტორიულად არანაირი ნათესაობა არ აკავშირებსო.

გეგონება, ჩეჩნები და ყაბარდოელები რუსების ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ.

ამაზე სხვა დროს.

ლუჟკოვის ქართველოფობია სულაც არ არის შემთხვევითი, თუ გავიხსენებთ იმას, რომ იგი იმ ქვეყნის შვილია, ვის მთავრებს, მეფეებს, იმპერატორებს, გენმდივნებს თუ პრეზიდენტებს ყოველთვის სხვათა მიწებზე უჭირავთ თვალი. ამიტომ ამ კაცს, როგორი სიკეთე და სითბოც არ უნდა ახსოვდეს ქართველებისგან, კუსა და მორიელის იგავისა არ იყოს, მადლი უმადურობით უნდა გადაიხადოს. და იხდის კიდეც.

ლუჟკოვმა თავის დროზე რაც აჭარაში უძრავი ქონება შეიძინა, პირწმინდად დაკარგა. ახლა ცდილობს იგივე შეცდომა აფხაზეთშიც არ მოუვიდეს. აქაც ჩალის ფასად ყიდულობს მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერს — მიწებს, შენობებს, სანაპიროს, იქიდან გამოყრილი ქართველების, უკრაინელების, ესტონელების სამოსახლოებს, სამაგიეროდ აფხაზეთის ხელისუფლებას ეხმარება ცნონ მათი „დამოუკიდებლობა“.

აი, ასეთი გაიძვერა მოყვარე გვყავს ქართველებს.

მაგრამ ლუჟკოვი უკრაინელებისთვისაც ასეთივე გაიძვერა მოყვარეა. ამ ქვეყნის მიმართ მისი მტრული გამოხდომები (თან ეფიცება — მოყვარე-ნათესავები ვართოძ — „სევასტოპოლი რუსეთის ქალაქია“, „ყირიმი ისტორიულად ყოველთვის რუსეთისა იყო“ და სხვა მისთანანი, საკადრისად შეაფასა ამას წინათ უკრაინის რადამ: მოსკოვის ემისარს სამუდამოდ აეკრძალა უკრაინაში შესვლა.

ახლა ჯერი საქართველოს პარლამენტზეა.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ინფორმაცია



## პრეზიდენტმა „ბაქტერიოფაგიდან“ სახელმწიფო და რუსთაველის პრემიები აღადგინა

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში დამსახურებისთვის საქართველოში სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიები გაიცემა. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ფარმაცევტულ საწარმო „ბაქტერიოფაგში“ საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა.**

საქართველოს ერთადერთი რესურსი და პოტენციალი მისი უნიკალური სამეცნიერო კადრებია და მათი ღირსეულად შეუფასებლობა დიდი შეცდომა იქნება. გადავწყვიტეთ, აღვადგინოთ ყველა დროის პრემიები და წახალისებები იმისთვის, რომ მეცნიერებმა ახალი აღმოჩენების განხორციელება შეძლონ და რომ ჩამოყალიბდეს ახალი სამეცნიერო კადრები, — განაცხადა სააკაშვილმა.

შოთა რუსთაველის პრემია შვიდ ნომინაციაში ოთხ წელიწადში ერთხელ გაიცემა და პრემიის ფულადი თანხა 15 000 ლარი იქნება. ეს პრემია გაიცემა მიღწევებისათვის მხატვრული ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, თეატრალური ხელოვნების, არქიტექტურის და რუსთველოლოგიის სფეროებში.

ეროვნული პრემია 7 000 ლარის ოდენობით გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ. ის მინიჭებული იქნება მხატვრული ლიტერატურის, ფერწერის თეატრის, კინოს, ტელევიზიის, პუბლიცისტიკის, არქიტექტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების სფეროებსა და სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მიღწევებისათვის.

## ირანის საელჩო ტელეკომპანია „მზეს“ ადანაშაულებს

**ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო საქართველოში ტელეკომპანია „მზის“ მიერ 2008 წლის 7 ივნისს ნაჩვენებ დოკუმენტურ ფილმში „ახალი შუამდინარეთი“ ირანის მიმართ გამოთქმულ ბრალდებასთან დაკავშირებით, განმარტებას აკეთებს.**

საელჩოს წარმომადგენელთა განცხადებით, 2008 წლის 7 ივნისს ტელეარხით გასულ დოკუმენტურ ფილმში — ახალი შუამდინარეთი“ გამოთქმული იყო უსაფუძვლო ბრალდება ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ ერაყში ირანიდან იარაღის კონტრაბანდის შესახებ.

ირანის საელჩო, უარყოფს ფილმში მოყვანილ განცხადებას, ერაყში ირანიდან იარაღის კონტრაბანდის შესახებ და აცხადებს, რომ ეს არის ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება, რომელიც მომდინარეობს აშშ-ს ოფიციალურ პირთა განცხადებებიდან და ასევე ამ ქვეყნის იმ მტრული პოლიტიკიდან, რომელიც ხორციელდება ამერიკის მარიონეტი შაჰის რეჟიმის დამხობის დღიდან ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ, — ნათქვამია განმარტებაში.

საელჩოს წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი ბრალდებები საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

## გაზის ახალი მრიცხველები თუ წინასაარჩევნოდ დახარჯული თანხის ამოღება?

**ხელისუფლება წინასაარჩევნოდ დახარჯული თანხის ამოღებას მოსახლეობისთვის იძულებით დამონტაჟებული გაზის მრიცხველების საშუალებით ცდილობს, — ამის შესახებ საავენტო ლეიბორისტული პარტიის წევრმა, სოსო შატბერაშვილმა განაცხადა.**

მისი თქმით, ე.წ. თერმორეგულატორიან მრიცხველთა დამონტაჟება 200 ლარამდე ღირს, რაც მოსახლეობის დასაფარია.

ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ უამრავი ფული დახარჯა. ახლა ისინი ფულის ამოღებას მოსახლეობის დატერორებით ცდილობენ. თერმორეგულატორიანი მრიცხველების დამონტაჟება 200 ლარამდე ღირს. ხელისუფლება მოსახლეობის მიერ ახალ მრიცხველებში გადახდილი თანხით, ზარალის ანაზღაურებას ცდილობს, — განაცხადა შატბერაშვილმა.

## პარლამენტართა სისხლი გადაარჩენს სისხლგამოწოვილ ქართველებს?

**სისხლის პრეპარატების ეროვნულ ცენტრში ახლად არჩეული პარლამენტის წევრები სისხლს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აბარებენ.**

პირველი სისხლის პრეპარატების ეროვნულ ცენტრში სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილი მივიდა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, პროფესიით ექიმია და კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს საჭირო რაოდენობის სისხლის მარაგი, ასევე, დონორები.

ეს ინიციატივა გიგი წერეთელს ეკუთვნის, რაც ჩვენთვისაც მისასალმებელია. გარდა ამისა, მინდა სრულიად საქართველოს დავით გარეჯობაც მივულოცო, — განაცხადა რუსუდან კერვალიშვილმა.

რუსუდან კერვალიშვილის შემდეგ სისხლის ჩასაბარებლად სისხლის პრეპარატების ეროვნულ ცენტრში გიგი წერეთელი და მისი ვაჟი მივიდნენ.

## პარიზის სასამართლომ ოქრუაშვილს დაწესებული შეზღუდვები მოუხსნა

**პარიზის სასამართლომ საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ დაწესებული შეზღუდვები მოუხსნა. ამის შესახებ ოქრუაშვილის ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა. მისი თქმით, სასამართლომ გადაწყვეტილება 11 ივნისს მიიღო.**



როდესაც ოქრუაშვილი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს დაუწესდა გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის პოლიციის განყოფილებაში სისტემატიურად გამოცხადება, აეროპორტის სიახლოვეს არ მისვლა და ა.შ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყველა ეს შეზღუდვა უკვე მოხსნილია, — განუცხადა ბესელიამ.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე სასამართლოში შეტანილია განცხადება, რომლის საფუძველზე ექსმინისტრი შენგენის ზონის ქვეყნებში გადაადგილების უფლების მიცემას ითხოვს.

## ერაყში დაღუპული ქართველი ჯარისკაცი სამხედრო პატივით დაკრძალეს

**ერაყში ტრაგიკულად დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურე ირაკლი კორძაია რუსთავში დაკრძალეს.**

დღის პირველ ნახევარში რუსთავში, ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში ირაკლი კორძაიას სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა, რის შემდეგაც იგი რუსთავის სასაფლაოზე სამხედრო წესით დაკრძალეს.

ირაკლი კორძაიას სამოქალაქო პანაშვიდსა და დაკრძალვას თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე ესწრებოდნენ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

„მეორედ მოსვლა“...

# პოლიტიკური ბლოკი — „დემოკრატები“ „ანტიკრიზისულ მემორანდუმს“ უნდობლობას უცხადებს



**გუშინ პოლიტიკურმა ბლოკმა „დემოკრატებმა“ გიორგი თარგამაძის „ანტიკრიზისული მემორანდუმის“ გამო ბრიფინგი გამართა. განცხადება გააკეთა ამ ბლოკის წევრმა ირმა ინაშვილმა.**

— ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ვაცხადებდი, რომ გიორგი თარგამაძის „მეორედ მოსვლა“ ქართულ პოლიტიკაში პროვოცირებულია და ხელისუფლების ძალოვანმა ფრთამ დაგეგმა, რომ ეს მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ტელეკომპანია „იმედის“ საბოლოოდ დაშლას, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყანაში ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური ძალის ფორმირებას, რომელმაც მრავალპარტიული პარლამენტის იმიტაცია უნდა შექმნას და, ამავდროულად, დაამკვიდროს აზრი, თითქოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით ეფექტიანია პარლამენტის დარბაზიდან, ვიდრე სახალხო პროტესტის გზით, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

პოლიტიკური ბლოკი „დემოკრატები“ საჯაროდ აცხადებს, რომ გიორგი თარგამაძის პოლიტიკური პარტია ხელისუფლების ძალოვანი ფრთის მიერ კონტროლირებადი მოძრაობაა: ხელისუფლება ე. წ. „ანტიკრიზისული მემორანდუმით“ ახმოვანებს არა ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტებულ სახეებს, არამედ ფსევდოოპოზიციონერ გიორგი თარგამაძეს; ყველა პოლიტიკურ ძალას ან პოლიტიკოსს, ვინც შეუერთდება ე. წ. „ანტიკრიზისულ მემორანდუმს“, უნდა ესმოდეს, რომ სინამდვილეში მხარს დაუჭერს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს.

პოლიტიკური ბლოკი „დემოკრატები“ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, მესამე სექტორს და მედია საშუალებებს მოუწოდებს, არ შეუწყონ ხელი საზოგადოების თვალში თარგამაძის, როგორც ოპოზიციონერი ლიდერის იმიჯის ხელოვნურ დამკვიდრებას და აცხადებს, რომ უკომპრომისო იქნებიან ყველა იმ პოლიტიკური ლიდერის მიმართ, ვინც გადაწყვეტს საზოგადოების მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანას.

**მადონა ფიფია**

ინფორმაცია

## ოსი ახალგაზრდის მკვლელობას აბრალებენ

**ცხინვალი** ქართულ სპეცსამსახურებს ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის ოსი ეროვნების მკვიდრის — ვეფხია ძერანოვის მკვლელობაში ადანაშაულებს. ამის შესახებ სააგენტო „ოსინფორმი“ იუწყება.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციით, ვეფხია ძერანოვი 10 ივნისს, სოფელ წნელისის შემოგარენში ნაცნობმა გაიტყუა, სადაც მას ქართული სპეცსამსახურის თანამშრომლები დახვდნენ და სასტიკად გაუსწორდნენ.

ცხინვალის საავადმყოფოს პათოლოგანატომის სტანისლავ მამიევის განცხადებით, მოკლულს სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული 20-ზე მეტი ჭრილობა და მრავლობითი მოტეხილობა აქვს.

დე ფაქტო ხელისუფლება ასევე აცხადებს, რომ მკვლელობის ფაქტზე სათანადო რეაგირება დე ფაქტო გენერალურმა პროკურატურამ ეუთოს მისიის ცხინვალის ოფისს სთხოვა, თუმცა, ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

## ვინ დაცხრილა ცხინვალი

**ქართული** სამშვიდობო ძალების სარდალი მამუკა ყურაშვილი სამშვიდობოების ერთობლივ პოსტ „თამარაშენთან“ დაფიქსირებულ აფეთქებებში ქართული მხარის მონაწილეობას გამორიცხავს.

როგორც მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, სამშვიდობო ძალების და ეუთოს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა ინციდენტზე მუშაობა უკვე დაასრულა.

— ჯგუფმა მხოლოდ აფეთქებების ფაქტი დააფიქსირა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა იმის განსაზღვრა, თუ რომელი მხრიდან წარმოებდა სროლა. თუმცა, შემიძლია, განვაცხადო, რომ სროლა ქართულ მხარეს არ უწარმოებია, ჩვენ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ასეთ ქმედებებს არ ვახორციელებთ, — განაცხადა მამუკა ყურაშვილმა.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, აფეთქებები თავად ოსური მხარის პროვოკაცია იყოს. ყურაშვილი აღნიშნავს, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას გზები უკანონოდ აქვს გადაკეტილი და დაძაბული ფონის ხელოვნურად შექმნას ცდილობს.

ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ცხინვალს კრიმინალებთან ბრძოლას და მათთვის იარაღის ჩამორთმევასაც ურჩევს, რათა მსგავსი პროვოკაციები მომავალში მაინც გამოირიცხოს.

— რაც შეეხება აფეთქების შედეგად შენობების დაზიანებას, ამ ინფორმაციას არ ვადასტურებთ, — განაცხადა ყურაშვილმა.

სამშვიდობო ძალების შერეულ პოსტ „თამარაშენთან“ 11 ივნისს 23:04 საათზე სამი აფეთქება დაფიქსირდა. დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციით, ცხინვალის საცხოვრებელ უბნებს სროლა სოფელ თამარშენის მხრიდან გაუხსნეს. ცხინვალი აფეთქებებით გამოწვეული ნგრევის შესახებაც ავრცელებს ინფორმაციას. ინციდენტის დეტალებს სამშვიდობო ძალების და ეუთოს ერთობლივი მონტორინგის ჯგუფი იძიებდა.

## აფხაზეთში ეკოლოგიის მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა

**გარემოს** დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის პრიორიტეტი აფხაზეთის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხი იქნება.

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის პირველივე სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ბობოხიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, აფხაზეთში ეკოლოგიის მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა.

კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონკრეტულად ამ მიმართულებით იმუშავებს და შეეცდება, გაეროს და ევროკავშირის მეშვეობით შესაბამისი მონიტორინგი დაწესდეს.

გარდა ამისა, სხდომაზე დაამტკიცეს კომიტეტის დებულება და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძის მოადგილეები იქნებიან გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ზაზა გამცემლიძე და დეპუტატი გიორგი იმნაძე.

**ინტერპრესნიუსი**

დიალოგის მოლოდინში

# სპიკერი ჯარისკაცი არ არის



**კულუარებში ლაპარაკობენ, რომ პარლამენტის ახალი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წევრივით რადიკალური არ არის. როგორც დიპლომატს, მას არ სჩვევია პოლიტიკური პოზიციების ჯარისკაცური დაცვა. ამდენად, ექსპერტთა ერთი ნაწილი პარლამენტში კარდინალურ სიახლეებს ელის. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ახალ სპიკერს პარლამენტში გამოსვლისას შემთხვევით არ დაუთმია დიდი დრო ოპოზიციაზე სასაუბროდ.**

ითქვა, რომ ოპოზიციონერებს, რომლებიც პარლამენტში შევლენ, ფრაქციების შექმნის შესაძლებლობა ექნებათ და ვიცე-სპიკერების პოსტებსაც მიიღებენ.

— რადგან ვამბობ, რომ სხვა ოპოზიციური ძალებიც შევლენ პარლამენტში, იმას ნიშნავს, რომ ამის წინაპირობა არსებობს, — აცხადებს გიორგი თარგამაძე.

თუმცა, უმრავლესობაში ფიქრობენ, რომ ოპოზიციის შესვლა-არშესვლას დიდხანს არ დაელოდებიან — ვეცდებით, მაგრამ ვერ დავუცდით, ჩვენ საქმე გვაქვს გასაკეთებელიო.

მოგეხსენებათ, უმრავლესობას, რომელიც პარლამენტართა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ისევ 120-კაციანი იქნება, ახალი ლიდერი ჰყავს — პეტრე ცისკარიშვილი. შესაძლოა, მაჟორიტარებისთვის ცალკე ფრაქცია შეიქმნას, ამის შესახებ უმრავლესობაში აქტიურად ლაპარაკობენ, მაგრამ რა რაოდენობით გადანაწილდებიან მასში დეპუტატები, ჯერ არ კონკრეტდება. ითქვა ისიც, რომ პარლამენტი აუცილებლად შეამცირებს ფრაქციის წევრთა რაოდენობის კვოტას. კერძოდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ფრაქციის შექმნისთვის აუცილებელია შვიდი დეპუტატი, ხოლო ცვლილებების შედეგად ფრაქციის შექმნა ექვს დეპუტატსაც შეეძლება. ამასთან, მმართველი გუნდი ოპოზიციას კიდევ ერთი ვიცე-სპიკერის თანამდებობას სთავაზობს. კერძოდ, მოქმედი რეგლამენტით, ვიცე-სპიკერის თანამდებობა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებსაც ეკუთვნით. ცხადია, საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა ახალი მოწვევის პარლამენტში შესაძლებელია, რადგან ამისთვის 16 დეპუტატია საჭირო. ოპოზიციურმა პარტიებმა კი 21 მაისს საპარლამენტო არჩევნებზე სულ 31 მანდატი მიიღეს. მმართველი პარტია აცხადებს, რომ ოპოზიციასთან დიალოგისას ისიც გადაწყდება, გაიზრდება თუ არა კომიტეტების რიცხვი. როგორც ცნობილია, ახლად არჩეულმა პარლამენტმა კომიტეტის კვოტებიც დაამტკიცა. თუკი აქამდე კომიტეტში მაქსიმუმ 25 წევრი იყო, ახლა მათი მაქსიმალური რაოდენობა 19-მდე შემცირდა.

გაიმართება თუ არა ოპოზიციასთან დიალოგი, უახლოეს ხანში გამოჩნდება. ჯერჯერობით გაერთიანებული ოპოზიცია კვლავ ალტერნატიული ცენტრის შექმნაზე მსჯელობას და მმართველ პარტიასთან დიალოგს არ აპირებს. თუმცა, კულუარებში იმასაც ლაპარაკობენ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია იშლება. იგი მთლად ერთიანი რომ არ არის, ეს ხშირად გამოჩნდა. მაგალითად, წინააღმდეგობრივი იყო მათი პოზიცია პარლამენტში შეუსვლელობის, პარლამენტის პიკეტირების თუ ბლოკირების თაობაზე. განსხვავებული აზრი ჰქონდათ რესპუბლიკელებს — მათ უარი თქვეს პარლამენტის პიკეტირებაში მონაწილეობაზე. ცნობილია, ამ საკითხში ქრისტიან-დემოკრატების პოზიცია. დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ ორი რეგიონის ოლქის შედეგების გაუქმების სანაცვლოდ, პარლამენტში შევლენ, კობა დავითაშვილმა ტელევიზიით საზოგადოებას ჯანყის გეგმა ამცნო, პაატა დავითაიამ პროტესტის ნიშნად გაერთიანება დატოვა და ა. შ. ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ ოპოზიციის თითქოსდა მონოლითური პოზიცია რამდენიმე ნაწილად დაიშალა. დაშლილი ერთიანობის გამოსწორების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს გაერთიანებული ოპოზიციის გადაწყვეტილება, განცხადებით მიემართა ცესკოსთვის ამ პარტიული სიის გაუქმების შესახებ, რომლითაც გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნებში წარსდგა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერავინ ვერ ჩაენაცვლება იმ დეპუტატებს, რომლებიც უფლებამოსილებას მოიხსნიან.

როგორც ჩანს, ამის გაკეთებას არ აპირებენ ლეიბორისტები. ერთი სიტყვით, ოპოზიციაში პოზიციათა თანხვედრა საკმაოდ დიდი ფუფუნებაა.

დღეს ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ ოპოზიცია პარლამენტის შენობის პიკეტირებაზე კი არ უნდა ჩაციკლულიყო, არამედ მას ხელისუფლებისთვის პარლამენტის პირველ სხდომამდე ისეთი წინადადებები უნდა წარედგინა, რომელიც მის პოზიციას გაამყარებდა. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ასეთი იქნებოდა მაგალითად, ცნობილი წინადადება იმის თაობაზე, რომ პარტიები შეთანხმებულიყვნენ და კონსტიტუციური უმრავლესობით მინიჭებული უფლებებით არც ერთ პარტიას არ ესარგებლა. ამის კონკრეტული მაგალითები არსებობს: იყო რამდენიმე ქვეყანა, კერძოდ, უნგრეთი და სხვა, სადაც მმართველმა პარტიებმა მიიღეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, მაგრამ იმისთვის რომ პარლამენტი დაბალანსებულიყო, მათ ამ უპირატესობაზე უარი თქვეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ამ წინადადებაზე დათანხმდებოდა, თუმცა ოპოზიციის მხრიდან ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, მათ ეს წინადადება, თუნდაც ხალხში მეტი ნდობის მოსაპოვებლად, მაინც შეეთავაზებინათ.

**მზია გელენავა**

პრესკონფერენცია

## 100 პატიმარი უშედეგოდ შიმშილობს

**პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ ქალთა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების საპყრობილეში არსებული უმძიმესი მდგომარეობის შესახებ პრესკონფერენცია გამართა.**

გიორგი ლაღიძის განცხადებით, სასჯელაღსრულების ქალთა და არასრულწლოვანთა საპყრობილეში 555 ადამიანია. ექვსი დღეა 100 პატიმარი შიმშილობს. აქციას კიდევ 25 პატიმარი შეუერთდა. მათი მოთხოვნაა განაჩენების გადახედვა, ზოგი მათგანი კი შეწყალებას ითხოვს. „მინდა მივმართო საქართველოს პრეზიდენტს, ნუ ცდილობს ამ სამწუხარო რეალობის სხვა პოლიტიკური ამბებით დაჩრდილვას. გადახედონ პატიმარ ქალთა და არასრულწლოვანთა საქმეებს და გაანთავისუფლონ ის პატიმრები, ვისაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, ვისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც უკიდურესია და შეიწყალონ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მრავალი უკანონო პატიმარია“, — დაასკვნა გიორგი ლაღიძემ.

სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ქალბატონებიც ყოფილან — ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანი, მაია თოფურია. გიორგი ლაღიძემ პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა, მეტი ყურადღება მიაქციონ პატიმრებს და მათ პრობლემებს.

**მირანდა ფორჩხიძე**

განსჯა

# ქუდზე კაცი – სკამებისთვის თუ სახელმწიფოსთვის?



**გაერთიანებული ოპოზიცია წაგებას არ აღიარებს. მაგრამ, დასკვნას შედეგებიდან თუ გამოვიტანთ, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი რამდენჯერმე დამარცხდნენ. პირველი შეცდომა ის იყო, რომ საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის, ანუ საპარლამენტო თანამდებობის გარდა, მათ არაფერი აერთიანებდათ. თანაც 9 პარტიისგან შემდგარ 150-კაციან სიაში, ნამდვილად არ იყო ქვეყნისთვის საინტერესო და საჭირო იმდენი სადეპუტატო კანდიდატი, რამდენიც ერთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ სიაში.**

მეორე მარცხად მრავალათასიანი მიტინგების და საპროტესტო ტალღის არასათანადოდ გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს. თუკი ოპოზიცია რევოლუციური ცვლილებებისთვის მზად არ იყო და არც უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, ზამთრის გაუსაძლის ყინვებში დემონსტრაციების გამართვას, გამართლება არ მოეძებნება. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, ლიდერებს შორისაც კი, შეჯერებული აზრი არ არსებობდა და მოქალაქეებს ყველა საკუთარ სიტყვაზე აკვრევინებდა ტაშს. გაერთიანება, რომელიც მიტინგზე ქუდზე კაცს იხმობს, პრინციპებზე მაინც უნდა იყოს შეჯერებული.

მომდევნო შეცდომა არასწორი პროგნოზები და არასწორად შერჩეული მესიჯები იყო, რომელთა შინაარსი მხოლოდ ნეგატივზე, ნარცისიზმზე და მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებაზე იყო გათვლილი. ნარცისიზმის ყველაზე საუკეთესო გამოვლინებად „გონიერი რესპუბლიკელების 30-წლიანი იუბილე“ შეიძლება დასახელდეს, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო იმ ისტორიულ რეალობასთან, რაც საქართველოში საარჩევნოდ მოსახლეობას აწუხებდა.

ოპოზიციის პროგნოზის მიუხედავად კი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალებმა გაიმარჯვეს. შედეგად საქართველოში არც ეკონომიკური, არც სოციალური ცხოვრება არ გაუარესებულა.

ფაქტია ისიც, რომ არჩევნების შემდეგ პრეზიდენტიც და მისი გუნდიც იმაზე კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე არჩევნებამდე. გაერთიანებულმა ოპოზიციამ კი უკან დასახევი გზა არ დაიტოვა, მანდატები დახია და საპარლამენტო მუშაობაზე უარი თქვა. პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხალხის იმედებს არ უგულებელყოფენ და სინდისს სადეპუტატო კეთილდღეობაზე არ გაცვლიან.

თუმცა, საქმე არც ისე უნდა იყოს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. რეალურად ოპოზიციას, სწორედაც სადეპუტატო კეთილდღეობა არ ეთმობა. 6 და თუნდაც 17-მანდატიან დეპუტაციაზე უარის თქმის საფუძველი, სავარაუდოდ საპარლამენტო თანამდებობები – ვიცე-სპიკერობა, ფრაქციის და კომიტეტების თავმჯდომარეობაა, რაც, უდავოდ, კომფორტი და სადეპუტატო კეთილდღეობაა, რომელსაც სამსახურეობრივი ავტომანქანა, მდივანი და აპარატი ემსახურება, გარდა ამისა, იანგარიშეთ ლიდერის მხრიდან ფრაქციის სახელით პოლიტიკური განცხადებებით გამოსვლის უპირატესობაც.

გაერთიანებულ ოპოზიციაში ჩვიდმეტივეს თუ არა, ათს მაინც ამ კეთილდღეობაზე უარის თქმა და რიგითი დეპუტატის სტატუსთან შეგუება გაუჭირდება. პარლამენტში კი იმაზე ნაკლები თანამდებობაა, ვიდრე ე. წ. ლიდერია „გაერთიანებულ ოპოზიციაში.“ მაგალითად, დავით გამყრელიძე. ის ორგზის მოწვევის პარლამენტში „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქციის თავმჯდომარე იყო და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრივილეგიით სარგებლობდა. სხვათა შორის, ლევან გაჩეჩილაძეს და დავით გამყრელიძეს, რამდენიმე წლის წინათ, ბავშვობისდროინდელი მეგობრობის მიუხედავად, პოლიტიკური უთანხმოება, სწორედ იმ თვისების გამო მოუვიდათ, რაც ახლების ლიდერს ახლახან გია თორთლაძემ და გია ცაგარეიშვილმა წამოაძახეს. ორივე მათგანის გაერთიანებული ოპოზიციისგან გამიჯვნის მიზეზად, გამყრელიძის ერთპიროვნული ლიდერობისკენ მიდრეკილება დასახელდა.

ოპოზიციის პოლიტიკურ შეცდომებს გამართლება თუ არა, ახსნა მაინც იმ შემთხვევაში მოეძებნებოდა, მისი წარმომადგენლები პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობას ახლა რომ იწყებდნენ. ამ გამოცდილებაში და ამ რეალობაში პოლიტიკური თამაშის წესებში დაშვებული ზემოხსენებული შეცდომები, სერიოზული მარცხია და საკმარისი წინაპირობა საიმისოდ, რომ ოპოზიციამ პოზიციები დათმოს.

დღეს უკვე სხვა რეალობა და სხვა ტიპის ოპოზიციაა საჭირო. საეჭვოა ეს ნიშა „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატებმა“ შეავსონ. მომავლის პოლიტიკოსის ლიდერისთვის თარგამაძის ბიოგრაფია საკმარისზე მეტად არის დამძიმებული. მან მხოლოდ დღეს, და მხოლოდ ამ ფონზე შეძლო დროებითი წარმატება. ამ მოწვევის დეპუტატობა, თარგამაძის ყველაზე მაღალ მწვერვალად შეიძლება დარჩეს.

**ეკა ალიბეგაშვილი,**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ჭირი დანახული ჯობს

***მაშასადამე, საბჭოთა პერიოდში არჩევნები კონსტიტუციურად განსაზღვრულ დროს ზარზეიმით ტარდებოდა, ოღონდ მთავარი – არჩევანის უფლება ხალხს წართმეული ჰქონდა. დეპუტატობის კანდიდატს ხელისუფლება არჩევდა. ვერ ვიტყვი უღირსს, საკმაოდ ავტორიტეტულს, სპეციალისტს, ხშირად ერის საამაყო პიროვნებას: ხელოვანს, მეცნიერს და ა. შ. ყველაფერი წინასწარ სოციალური ფენების გათვალისწინებით იყო განსაზღვრული: რომელ არჩევით ორგანოში რამდენი მუშა, გლეხი (კოლმეურნე) და ინტელიგენციის წარმომადგენელი უნდა მჯდარიყო, დაცული უნდა ყოფილიყო გენდერული უფლება, მამაკაცთა გვერდით უსათუოდ ქალებს უნდა დათმობოდა შესაფერისი ასპარეზი და ა. შ.***

ნის არჩევნებში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2008, 18 აპრილი).

ახალი წლიდან დღემდე რეგისტრაციაში 11 ახლადგამოჩეკილი პარტია გატარდა (იქვე). ზოგიერთმა მოასწრო და არჩევნებში კენჭი იყარა და რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებული სითამამეა, ჯერ კარგად საკუთარი თავიც არ შეგიცვნია, არ ჩამოყალიბებულხარ და ხალხს აწუ-

ზოგიერთმა მედროვემ ხელისუფლების დაცვა ცხოვრების მიზნად დაისახა, არა გულწრფელად, არამედ ანგარებით. მოქმედი პრეზიდენტი, სამწუხაროდ, ამ ანკესზე ადვილად ეგება და კადრების შერჩევას უმთავრეს საშუალებად იხდის. შედეგი თქვენ თვითონ განსაჯეთ, ჩვენ კი ისევ ტელეგადაცემებს დავუბრუნდეთ. მედროვე მლიქვნელთა და მათ მო-

# საქართველო შავ დღეშია, როდემდე?

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ნამდვილი პანდემია შეჰყრია. ვისაც არ ეზარება, თანაპარტიელზე გული მოუვა, თანაც ოდნავ „ცნობადი სახეა“, მაშინათვე ცხელ გულზე ახალ პოლიტიკურ პარტიას ქმნის. არასამთავრობო თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებიც უთვალავია. მოკლედ, ყოველგვარი რეკორდი მოხსნილია. მკითხველს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას გავაცნობ: „ოთხმილიონიანი ქვეყანა პოლიტიკური პარტიების რაოდენობით რამდენიმეჯერ აღემატება 40 და 100-მილიონიან სახელმწიფოებს. დღეისთვის იუსტიციის სამინისტროში ოფიციალური რეგისტრაცია გავლილი აქვს 203 პოლიტიკურ პარტიას და გაერთიანებას. ექსპერტთა განცხადებით ყველა მათგანის შტაბ-ბინა თბილისშია. სპეციალისტების ვარაუდით, თითოეულ პოლიტიკურ პარტიასა და გაერთიანებას თავის რიგებში 100 აქტიური წევრიც რომ ჰყავდეს, დიდ პოლიტიკაში ჩაბმული უნდა იყოს 20 300 ჩვენი თანამოქალაქე თბილისში. ცალკე საკითხავია რეგიონები, საბოლოო ჯამში გამოვა, რომ საქართველოში 100 ათასზე მეტი პოლიტიკურად აქტიური ადამიანია.



სულ სხვა სურათს გვიხატავენ დასავლელი ანალიტიკოსები, რომლებიც ასევე ეყრდნობიან იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებს. მათი მტკიცებით ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების 80 პროცენტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ისინი წარმოადგენენ სამეგობროს, სანათესაოს სალონებს. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამგვარი პარტიებისა და გაერთიანებების შესახებ საერთოდ არ იცის. ყოველივე ამის გამო, მიაჩნიათ დასავლელ ექსპერტებს, სალონების ტიპების პარტიებს არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ ცხოვრებაზე, ისინი არ მონაწილეობენ არც ერთი დონის არჩევნებში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2008, 18 აპრილი).

ხებ. რჩეული გაგხადოს. რატომ? რა დამსახურებისთვის? ფართო საზოგადოებამ 203 პარტიიდან თითქმის არც ერთის დასახელებაც კი არ იცის, თეორიულ-იდეოლოგიურ მიმართულებასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ინფორმაციის უმთავრესი საშუალება – ტელევიზია მთლიანად ოფიციოზის ხელთაა. პრინციპული დისკუსია, ბრძნულ მეცნიერულ განსჯაზე დამყარებული კამათი, რომელიც ჭეშმარიტებას წარმოშობს, იაფფასიანი ტელეშოუებითაა შეცვლილი. აქედან გამომდინარე, წინასაარჩევნო გაწამაწიის მიუხედავად, არსებული ვითარების მიკერძოებული შეფასება, ღრმა მეცნიერული ანალიზი, სამწუხაროდ, ჯერ არ გაკეთებულა. მეცნიერება და მეცნიერები მოდაში აღარ არიან. ძირითადი მენტორი და თვით პოლიტიკური ფიგურაც კი ტელეწამყვანია, ვისაც უნდა იმას მოიწვევს და რასაც უნდა იმას გააკეთებს, მის ტვინსა და მოხერხებაზეა დამყარებული საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ხოლო საზოგადოებრივი მიდგომა რატომღაც არ ჩანს. ხშირად წამყვანი ჟურნალისტი გამომსვლელების და მასის შერჩევაში საკუთარი ნაცნობების წრეს ვერ შორდება, ამიტომ გადაცემები დაშტამპული და უინტერესოა.

წინააღმდეგეთა მონაწილეობით ხშირად იმართება ყოველგვარ ლოგიკას და ეთიკას მოკლებული უაზრო შეხლა-შემოხლა, მამლების ჩხუბის მაგვარი ძიძგილაობა, წამყვანი მსაჯის როლს ასრულებს და ამაზრზენი სანახაობით ფრიად კმაყოფილია. რაც მთავარია, ასეთი სატელევიზიო საჩოთირო შერკინებანი უკვალოდ არ იკარგება. მთავრობაში თავიანთ ქომაგებს არა მარტო მადლობას უხდიან, არამედ ზოგჯერ მინისტრის ხარისხში აჰყავთ, საკრებულოს ხელმძღვანელად ნიშნავენ, სადეპუტატო სიის პირველ ათეულში შეჰყავთ და ა. შ. ასე ძერწავს ტელევიზია „ცნობად სახეებს. კარგად თქვა გამოჩენილმა მწერალმა ოთარ ჭილაძემ: – ვიდრე დრო იქნება, მედროვეებიც იქნებიანო.

საქართველოში ახალმოდური პარტიობანას ბაცილა XIX ს-ის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ამ სენმა იმდენად იმძლავრა, რომ დიდი ილია ჭავჭავაძის და მისი თანამებრძოლების ქვეყნის სწორად განვითარების გეზი გააუკუღმართა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველო გენიოსებით, მსოფლიო

იხ. 6 გვ.

◉ რაც გინახავს, ველარ ნახავ

# ნავთობს ცეცხლი უკიდია!..

## ექსპერტთა დასკვნებში საიმედო არაფერი ჩანს





***ახლა ბევრი ნატრობს იმ დროს, როცა 10 კაპიკად ლიტრ ბენზინს ყიდულობდა და ერთგულ „ლურჯას“ უდარდელად დააჯირითებდა. მორჩა, ის დრო წარსულს ჩაბარდა და აღარ დაბრუნდება. ნავთობპროდუქტების სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილმა კატასტროფულმა მდგომარეობამ ყველაზე ოპტიმისტ ადამიანთა იმედებიც კი გააცრუა. აბა რა იქნება, როცა მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნავთობის ფასი 140 დოლარს მიუკაკუნებს (2003 წელს ეს ციფრი 45 დოლარს არ აღემატებოდა), ამერიკელი იქნები, ევროპელი თუ ჩინელი, წინ იმდენი თავსატეხი პრობლემა გადმოგიხტება, მათთან გამკლავება მითიურ ამირანსაც გაუჭირდება. ამ გასაჭირიდან თავის დაღწევის გზებზე საუბარი საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილთან ვარჩიეთ.***

— სანავთობო კრიზისიდან თავის დაღწევაზე რა მოგახსენოთ, ამას დღეს მსოფლიოს გიგანტი სახელმწიფოების მმართველნიც ვერ ახერხებენ, — ამბობს ბატონი ვანო, — მაგრამ ამ მხრივ საერთაშორისო ბაზარზე და შესაბამისად საქართველოში შექმნილ ვითარებაზე საუბარი ნამდვილად შემიძლია. არ დავმალავ, სურათი უმძიმესია. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის შემაშფოთებელი ფაქტი, რომელიც ისტორიაში 2008 წლის 6 ივნისით დათარიღდა. ამ დღეს ლონდონის ბირჟაზე ნავთობის ფასი ერთბაშად 10,15 დოლარით, ხოლო ნიუ-იორკის ბირჟაზე 10,75 დოლარით გაიზარდა და ბარელმა სარეკორდო ციფრს — 138, 54 დოლარს მიაღწია. მართალია, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ნავთობის ფასმა შედარებით იკლო, მაგრამ მომდევნო დღეებში ზრდის ტენდენციამ ისევ იჭარბა.

უფრო შემაშფოთებელი ის გახლავთ, რომ ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე პერიოდულად კი არა, მთელი მიმდინარე წლის განმავლობაში დინამიკურად იზრდება და თუ იანვრის დასაწყისში ის შეადგენდა ბარელზე 92-94 დოლარს, ახლა ეს მაჩვენებელი 132-138 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ეს არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ ნავთობის ფასმა მსოფლიოში 50 პროცენტით მოიმატა.

**— ბუნებრივია, ამან გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის სანავთობო ბაზარზეც.**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ მსოფლიოსგან იზოლირებულად არ ვცხოვრობთ, თანაც საქართველო საკუთარ ნავთობს უმნიშვნელო რაოდენობით აწარმოებს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. წლის დასაწყისში თუ ერთი ტონა ბენზინის ფასი 800-820 დოლარს არ აჭარბებდა, დღეისათვის მან 1110 დოლარს მიაღწია (40 პროცენტით გაიზარდა!), უფრო მეტით — 55 პროცენტით გაიზარდა დიზელის ფასი. შესაბამისად ფასებმა მოიმატა საცალო ქსელშიც. ბოლო 10 დღის განმავლობაში ბენზინის ფასი საშუალოდ გაზრდილია 15 თეთრით, ხოლო დიზელის საწვავისა — 20 თეთრით. ახლა ბენზინგასამართ სადგურში აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბენზინის ფასი 1,65-1,70 ლარის ფარგლებში მერყეობს, უფრო ძვირია ევროპიდან შემოტანილი. „ევრორეგულარი“, მაგალითად იყიდება 1,90 ლარად, „პრემიუმი“ — 2 ლარად, ხოლო „სუპერი“ — 2,1 ლარად.

**— მაგრამ ჩვენთან საწვავის საცალო ფასი ევროპის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. როგორც ვიცი, ბენზინი საშუალოდ იქ 3 დოლარი ღირს, ჩვენთან კი „სუპერი“ 2,1 ლარად იყიდება. ამას რით ახსნიდით?**

— საქართველოში საწვავის ფასმა ბოლო რამდენიმე დღეა მოიმატა, თანაც არა იმ დოზით, რამდენითაც საზღვარგარეთის ქვეყნებში. ეს განაპირობა, ჯერ ერთი, იმან, რომ ნავთობკომპანიებს ჰქონდათ საწვავის მარაგი, რომელიც ადრე შედარებით იაფად იყო ნაყიდი. და მეორეც, ჩვენში შემოტანილი საწვავის 45 პროცენტი მოდის აზერბაიჯანზე, რომლის პროდუქციაც ევროპულთან შედარებით იაფია.

**— ბატონო ვანო, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აზერბაიჯანული საწვავი რამდენად იაფიც არის, იმდენად უხარისხოა?**

— არა, მე ასე ვერ ვიტყოდი. რა თქმა უნდა, „სუპერი“ და „პრემიუმი“ აზერბაიჯანიდან არ შემოდის, მაგრამ ამ ქვეყნიდან რა კატეგორიის საწვავსაც ვიღებთ, მასში ხარისხის მოთხოვნები ყოველთვის დაცულია და მომხმარებელიც, რომელიც მას 20-25 თეთრით იაფად ყიდულობს, კმაყოფილია.

ნავთობის იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ჩვენში საწვავის შედარებითი სიიაფის მიზეზად დაასახელა საქართველოს ბაზარზე არსებული კარგი კონკურენტუნარიანი გარემოც, რაც, რა თქმა უნდა, არ დავიჯერე. ვერც იმას დავიჯერებ, ამერიკული „ფრონტერას“ მიერ ტარიბანას ჭაბურღილიდან ამოღებული ნავთობის საცდელი ნაკადი ვითომ მთლიანად შევარდნაძეს რომ არ დაელია (ეს უკვე ვანო მთვრალაშვილს არ უთქვამს!), ახლა საქართველო ნავთობის წარმოებით ქუვეიტს გაუსწრებდა(!), თუმცა ისიც საკითხავია, როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში 3 მილიონ ტონა ნავთობს აწარმოებდა, ახლა წლიურად 60-70 ათასი ტონის ანაბარა დარჩა? და რაც ყველაზე უარესია, რაცა გვაქვს, იმის გადამუშავებელიც არავინ გვყავს, მოპოვებული ნავთობის ეს მცირე ოდენობაც საზღვარგარეთ გაგვაქვს გასაყიდად.

მეც ვამბობ რა, ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ ხალხს მიწას, ტყეს, წყალს და სხვა ეროვნულ სიმდიდრეებს გაუყიდის, ნავთობზე შეძახილით როგორ დაანამუსებ?!

ამას აჯობებს ისევ ნავთობის მსოფლიო კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე ვილაპარაკოთ. ვანო მთვრალაშვილის განმარტებით, ნავთობის ფასის კატასტროფული ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, რომელთაგან უმთავრესია თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის დეგრადაცია და უმუშევრობის 5,5-პროცენტიანი ზრდა. ბევრი ექსპერტის აზრით, ეს წინაპირობაა იმისა, რომ ამერიკის ეკონომიკა რეცესიაში ეფლობა. ამის პარალელურად გრძელდება ამერიკული დოლარის გაუფასურება, რაც საინვესტიციო ფონდებს აიძულებს, თავიანთი სავალუტო რესურსები დააბანდონ სასაქონლო აქტივებში, კერძოდ კი ნავთობში. ირანმა, მაგალითად, უარი თქვა ნავთობზე ანგარიშსწორებისას დოლარის გამოყენებაზე და ევროსა და იაპონურ იენაზე გადავიდა. მას ნაწილობრივ მიბაძა ვენესუელამაც.

ეს ხელს უწყობს სპეკულაციური კაპიტალის შედინებას სანავთობო ბაზარზე იმ პირობებში, როცა მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება (განსაკუთრებით ისეთ მონსტრებში, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი და ა.შ.) და ჩნდება ამ პროდუქტზე სერიოზული დეფიციტი, რაც თავისთავად იწვევს ფასების მატებას. ამას ემატება ისიც, რომ მოხმარების პარალელურად ნავთობის წარმოება არ იზრდება, იქმნება წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის საშიშ ზღვრამდე მისული დისბალანსი. ისეთ პატარა ქვეყანაშიც კი, როგორიც საქართველოა, ბოლო პერიოდში ბენზინის მოხმარება გაზრდილია 5 პროცენტით, ხოლო დიზელისა — 20 პროცენტით.

მე დავინტერესდი, რატომ იზრდება დიზელის საწვავის ფასი უფრო მეტი ტემპით, ვიდრე ბენზინისა? როგორც ბატონმა ვანომ განაცხადა, ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა და სხვები განიცდიან ელექტროენერგიის დეფიციტს. ისინი ენერგიის მისაღებად იყენებენ გენერატორებს, რომლებიც დიზელის საწვავზე მუშაობენ. ამან, ბუნებრივია, გაზარდა დიზელის საწვავზე მოთხოვნა და შესაბამისად მისი ფასიც.

არის კი რაიმე იმედი იმისა, რომ მსოფლიო ამ მძიმე სანავთობო კრიზისს თავს დააღწევს? ექსპერტთა აზრით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ახლო მომავალში როგორი სიტუაცია შეიქმნება ამერიკის ეკონომიკაში, საერთაშორისო ბაზარზე გაიმყარებს თუ არა მდგომარეობას დოლარი და გაზრდიან თუ არა ნავთობის წარმოებას ოპეკის ქვეყნები.

**ყველაფერ ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ჩვენ რომ სანავთობო კრიზისთან ერთად მზარდი ინფლაცია, სიღარიბე, მასობრივი უმუშევრობა და დროის დეფიციტიც გვიღრღნის ნერვებსა და მოთმინებას? არჩევნებმონაგები ხელისუფლება კი შეგვპირდა 50 თვეში ამერიკისა და სხვა მეგობარი ქვეყნების დახმარებით ყველა ამ პრობლემას მოგიხსნითო, მაგრამ ამერიკა ჩვენ საით რას შეგვაწევს, თუ თავადაც ეკონომიკურ კოლაფსში ჩაყურყუმალავდა? არაუშავს, რა საჭიროა ეკონომიკა, თუკი გვაქვს წარმატებული ეკონომიკური რეფორმები? ჩვენ ხომ ამ დღეებში მსგავს რეფორმატორ სახელმწიფოთა პირველ ათეულში დაგვასახელეს (!?).**

ოთარ ხუციშვილი

◉ ინფორმაცია

### კარასინი კიწმარიშვილს შეხვდა

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა და რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩმა ეროსი კიწმარიშვილმა ორმხრივი ურთიერთობების პრაქტიკული საკითხები განიხილეს.**

**როგორც რუსეთის საგარეო უწყების ვებგვერდი იუწყება, კარასინმა და კიწმარიშვილმა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ასპექტებზეც იმსჯელეს.**

### ნავთობს კომპიუტერით აღრიცხავენ

**საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის კუთვნილ სამგორის სათავე ნაგებობაზე კომპანია „ემერსონმა“ ახალი კომპიუტერული სისტემა დაამონტაჟა.**

**როგორც კორპორაციიდან იტყობინებიან კომპიუტერული სისტემა ნაგებობაზე შესული და გასული ნავთობის ზუსტ აღრიცხვას აწარმოებს.**

**კომპანია „ემერსონის“ წარმომადგენლებმა სისტემის მართვისთვის სათაო ნაგებობის ყველა თანამშრომელს ტრენინგი ჩაუტარეს და შეარჩიეს ჯგუფი, რომელიც სისტემის მართვაზე იმუშავებს.**

### გასხვისებული საძოვრებით სარგებლობას ითხოვენ

**გარდაბნის რაიონის სოფელ ახტაკლის მოსახლეობა სოფლის საძოვრებით სარგებლობას ითხოვს.**

**მოსახლეობის მტკიცებით, საძოვრები რამდენიმე ადამიანზე გასხვისდა და მეპატრონეები მათ უფლებას აღარ აძლევენ, რომ საქონელს ამ ტერიტორიაზე აძოვონ. მოსახლეობის განცხადებით, მაისი გავიდა, ივნისიც დადგა და მათ კი საშუალება არა აქვთ, რომ საქონელი საძოვრებზე გაიყვანონ.**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზვიად ეპიტაშვილი აცხადებს, რომ ახტაკლიის მოსახლეობას შეუძლია საძოვრებით დღეიდან ისარგებლოს.**

ინტერპრესნიუსი

## ძირი დანახული ჯობს

(მეოთხე გვერდიდან)

რანგის მოაზროვნეებით იყო სავსე, ქართველი ერი წინწამურის ტრაგედიას ვერ ასცდა. ამით დავიმსახურეთ ხელშეკრულ წითელი რუსეთისგან ანექსია და 70 წელი ბოლშევიკური დიქტატურის პირობებში, რწმენაშებღალული ცხოვრება. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, თვრამეტწლიანმა დამოუკიდებლობამ ისეთ დღეში ჩაგვყარა, მიუხედავად უმძიმესი შედეგებისა, წარსული გვენატრება...

ერთ-ერთმა მედროვემ, გაბუდაყებულმა ვაიერისკაცმა ტელევიზიით მოგვახალა: – თქვენ არ იყავით, რომ გაიძახოდით, ოღონდ დამოუკიდებლობა გვეღირსოს, ბალახს მოვძოვთო და თავს ისე გავიტანთო, დამოუკიდებლობას ეღირსეთ, მაინც უკმაყოფილონი ხართ, უმადური ერია ეს ქართველები...

რაც თავი მახსოვს, ჩაგვჩიჩინებენ, – ურუსეთოდ საქართველო ვერ იარსებებსო, რუსეთის პურით და ენერგორესურსებით ითქვამთ სულსო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოჩნდნენ მოკამათენი: – რუსეთმა დაგვანებოს თავი და ჩვენ ჩვენი ბორჯომი და ჩაი გვაცოცხლებსო... ამჯერად რუსეთის ფაქტორი საქართველოში ბედისწერადაა ქცეული.

შინაური უკუღმართობანი საგარეო ფაქტორებითაა გადანისლული. მთავარი განტევების ვაცი რუსეთია. რუსეთი გვებრძვის, რუსეთს ვებრძვით, ამიტომ ერთიანობაა საჭირო, თორემ ეს გველეშაპი სადაცაა გადაგვყლაპავს. აქედან გამომდინარე, ფხიზლად ვართ, საშიშად ვეთამაშებით უძლავრეს დათვს, ვუჩხიკინებთ, მზვერავებს და მზვერავ თვითმფრინავებს ვუგზავნით. ეს სამხედრო თუ დივერსიული ოპერაციები რატომღაც მგონია ავანტიურისტთა გააზრებით და ხელდასხმით ხორციელდება, შედეგებიც შესაფერისი გვაქვს, ყველა „აქცია" ბუმერანგივით გვიბრუნდება და ცხვირში გვხვდება. ნუთუ არავინ უნდა განსაჯოს ამ ქმედებათა, ანდა „პატრიოტთა ზანაკების" სიკეთე და ზარალი?!

რუსული სახელმწიფო თუ ოლიგარქიული კაპიტალი ყველა ჩვენს საარსებო წყაროს ისე დაეუფლა, ხალხისთვის აზრი არავის უკითხავს. ეკონომიკა აღარ გაგვაჩნია და თუ რაიმე რესურსიშემოგვრჩა, თითქმის ყველაფერი რუსულ კაპიტალს ეკუთვნის. ამაოდ არ ჩაუვლია კახა ბენდუქიძის მცდელობას და „ღვაწლს". მისი დოქტრინით, რომელიც არავის განუსჯია და პრაქტიკაში ისე დამკვიდრდა, საქართველოს სახელმწიფოს და ქართველ ხალხს თურმე არაფერი არ უნდა ჰქონდეს, ყველაფერი უნდა გაიყიდოს, რათა „პატრონი გაუჩნდეს", ამით საქართველოში აღმოიფხვრება უპატრონობა, უპასუხისმგებლობა და, წარმოიდგინეთ, კორუფციაც კი. პატრონად მოვლენილი კაპიტალისტი „საბაზრო ეკონომიკის" ჯადოსნური ძალით ყველაფერს დაალაგებს და ნანატრი „კომუნიზმიც" აშენდება. ოქტომბრის რევოლუცია რომ აღარ მოხდება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მიწიდან დაწყებული სტრატეგიული ობიექტების ჩათვლით თუ ყველაფერს გავყიდით და სახელმწიფოს, საერთო-სახალხო საკუთრებაში არაფერი დარჩება, როგორც ქვეყანა, როგორც სახელმწიფო რას ვაპირებთ?!

რაც გაიყიდა რა ხეირი ვნახეთ! სოციალური ფონი უმძიმესია, სიძვირე და უმუშევრობა შეუქცევადად მატულობს. დასაქმების ე. წ. „პროგრამები" ბლეფია და არაფრის მომცემი. მილიარდები იფლანგება, კვალი კი არ რჩება. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა პარალიზებულია, ეკონომიკური „სასწაულები" სასწაულებად რჩება. ვის სჭირდება ასეთი „ალმავლობის" ციფრები, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობით მშობლიური მიწა – მამული აუქციონის წესით იყიდება. ეროვნული მეურნეობის ნაცვლად სოფლად პლანტატორული მეურნეობები გაბატონდა, სადაც მკვიდრი მოსახლეობა მონებად სჭირდებათ. ეროვნული სახელმწიფოს ბურჟის – საშუალო ფენის ჩამოყალიბების ნაცვლად გლეხობა კატასტროფულად ღატაკდება და ეკონომიკური მიგრაცია ზენიტს აღწევს. უცხოეთის საელჩოებთან სამარცხვინო რიგებია. ადგილობრივი მწარმოებელი მიწასთან შიშველი ხელებითაა დარჩენილი. თუ მაინც შეძლო და მოსავალი მოიყვანა, შინა და გარე ბაზარი წართმეული აქვს. თურქული, ჩინური და სხვა უხარისხო საქონელი, მოწამლული კვების პროდუქტები, რომელზედაც სიიაფის გამო ფართო მასას მიუწვდება ხელი – თაობებს ასნებოვნებს. სამაგიეროდ ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლი გაუქმებულია, ანტიმონოპოლიური სამსახური კახა ბენდუქიძემ შეიწირა.

ჩინელები და ყოველი ჯურის ბედისმაძიებელი საქართველოში მკვიდრდება, მკვიდრი ქართველობა კი უცხოეთში გარბის, ხოლო ვისაც სურვილი და შეძლება აქვს, ჩვენს მამაპაპურ მიწას ეუფლება. სოფელი კანონგარეშეა გამოცხადებული, სოფელი განწირულია...

ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ქართველი თავის საცხოვრისს ძალად თუ მოგლეჯდნენ, თორემ ნებით არ მიატოვებდა. რამდენი ამაღელვებელი სტრიქონი უძღვნა დიდმა ილიამ ამ იშვიათ ფენომენს, მკვიდრისა და მოსულის იდეალურად სრულყოფილ დამოკიდებულებას, ახლა ყველაფერი არეულია და ძალადაკარგული. ყოველივე უბედურებასთან ერთად, სეპარატისტები ჩვენს უნიათობას მომგებიანად იყენებენ და სამშობლო ხელიდან გვეცლება... სეპარატისტთა აღზევებაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, რუსეთს მიუძღვის, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მუხთალ მეზობელს მოქნილი, სწორად გათვლილი დიპლომატიით კი არ ვუპირისპირდებით, არამედ გამომწვევად ვაღიზიანებთ, თითქოს გამიზნულად ვაფუჭებთ ურთიერთობას. საქმით კი სხვა ხდება, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთად" გადანათლულ შიდაქართლის ჩრდილოეთ მონაკვეთში ფეხი მტკიცედ მოვაკიდებინეთ, თავსმოხვეული „ეთნოკონფლიქტების" საბაბით, ვითომდა ჩვენგან ჩაგრულ ხალხთა გამათავისუფლებლად გამოვიყვანეთ. საქართველოს ხელისუფალთა უუნარობის და უმწიფრობის გამო ბრძოლა ყველა ფრონტზე წავაგეთ.

არც სამხედრო, არც ეკონომიკურ, არც იდეურ-პოლიტიკური კრახი შეფასებული არ გვაქვს, თუ რა საბედისწერო შეცდომაა დაშვებული, თუ ამათ „შეცდომები" ჰქვია, პროფესორმა ბიძინა სავანელმა პრესაში დოკუმენტურად ამხილა, მაგრამ მიჩუმათების პოლიტიკა ახლაც გრძელდება. სამაგიეროდ არჩევნებს არჩევნები მოსდევს და კარიერისტთა დოლი დაუსრულებლად გრძელდება. რუსეთთან იმ ზომამდე მივიყვანეთ ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ მესამე ათასწლეულია, ქართველთა დევნა, ტანჯვა-წამება საკუთარ სამშობლოსა და რუსეთში შეუქცევადად მიმდინარეობს. საზღვრები სახელმწიფოებრივი ძალადობის, დამამცირებელ ქმედებათა ასპარეზია, ხალხი წვალობს, ცოდვილობს... ადამიანის უფლებების გაფეტიშებით თვითონ ადამიანი გამოგვეცალა ხელიდან. კონსტიტუციაში აღიარებულ სიცოცხლის უფლებას 18 წელია ვერ ვანხორციელებთ. საარსებო საშუალებანი კატასტროფულად შეზღუდულია. სიკვდილიანობამ შემაშფოთებლად გაასწრო დაბადებას. ათასობით ადამიანი ეკოლოგიური უბედურების მსხვერპლი ხდება. მოუვლელი ბუნება სტიქიის გამძვინვარებას იწვევს, მეწყერები, სელები, მიწისძვრები, წყალდიდობები, ტყეების განადგურება, ზვავები, ღვარცოფები, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, უმოწყალოდ გაჩეხილი ქარსაცავი ზოლები, ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ძარცვა და ა. შ. ქვეყნის მიწა-წყალს ღუპავს, დასახლებებს ანგრევს, მოსახლეობას უსახლკაროდ ტოვებს. იარაღის ძალით აყრილ დევნილებთან ერთად საქართველოში ათეულათასობით ეკომიგრანტია, რომლებიც გადაუდებელ დახმარებას, თავშესაფარს საჭიროებენ. რა ეშველებათ მათ, როცა თბილისის მიწისძვრის შედეგებიც კი ალმოფხვრილი არ არის, პრეზიდენტი კი გრანდიოზული რეზიდენციის მშენებლობითაა გართული...

მარტო თბილისში, ოფიციალური აღიარებით, ჰაერის დაბინძურება დასაშვებ ნორმას ოცდაათჯერ აჭარბებს, ხელისუფლებამ მეტი ვერაფერი მოიფიქრა და მილიონნახევრიანი ქალაქი და ტრანსპორტის მხოლოდ ერთ სახეობაზე – მხრჩოლავი ავტობუსების ამარა დატოვა...

ჩვენი სამშობლო ძველი აღმოსავლეთის სისხლიანი ეპოქიდან მოყოლებული დღემდე, როგორც პოეტი ამბობს გიგანტი იმპერიების საომარ ლელოს წარმოადგენდა. და თუ გადავრჩით, ოდენ მოქნილი პოლიტიკით და დახვეწილი დიპლომატიით. დღეს რა პოლიტიკას ვაწარმოებთ, ვერაფერი გამირკვევია, ხოლო რაიმე დიპლომატიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რა დიპლომატია უნდა ჩამოაყალიბონ ამ გამოწუნებულმა, საშუალოზე დაბალი შესაძლებლობის მოხელეებმა, ჩინეთისა და რუსეთის სარბიელზე რომ უშვებენ.

პრობლემათა ეს კასკადი ვრცელ მსჯელობასა და ღრმა მეცნიერულ ანალიზს საჭიროებს, რაც, ბუნებრივია, ერთი პიროვნების შესაძლებლობას აღემატება. დღეს არ არსებობს ხალხის ცხოვრების და სახელმწიფოს მართვის არც ერთი სფერო, დარგი, რომელიც მოწესრიგებული იყოს და საერთო-სახალხო განსჯას, სიღრმისეულ ანალიზს არ საჭიროებდეს. თვით არჩევნების წინაპერიოდშიც კი ძვირფასი სატელევიზიო დრო უმეტესად უქმად იკარგებოდა, მიუკერძოებელ შეფასებებს კინკლაობა ცვლიდა, მიზანმიმართულ საქმიან აზროვნებას, სერიოზულ, ჯანსაღ დამოკიდებულებებს – ზედაპირული პიარი და არცთუ იშვიათად დამცირება და შეურაცხყოფა. თვით XIX და XX ს-თა მიჯნაზე, როცა სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტურმა იდეებმა ეროვნულ-პატრიოტულს დაძლია, თვით ქართველი ერის მამა, ბერმუხა ილია ჭავჭავაძე წააქციეს, მაშინაც კი საქართველოში არც ერთი მეტნაკლებად ცნობილი პარტია არ ყოფილა, რომელსაც თავისი პარტიული ორგანო გაზეთი არ ჰქონოდა და საზოგადოებისთვის საკუთარი სახე არ ეჩვენებინა. ღმერთმა ნუ ქნას, დღეს ჩვენთან 203 პარტიას თავისი ბეჭდვითი ორგანო რომ ჰქონდეს, მაგრამ ის პარტიები, რომლებიც ავად თუ კარგად ამ ქვეყანას მართავდნენ, მართავენ, ანდა მართვის პრეტენზია აქვთ, რატომ დარჩნენ საკუთარი იდეური ორგანოს გარეშე, გასარკვევია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამჟამად მმართველ პარტიას – პაციონალურ მოძრაობას ეხება. მოქალაქეთა კავშირმა თავის დროზე სცადა ასეთი ორგანო ჰქონოდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ არც იდეა ჰქონდათ და არც სათქმელი, შევარდნაძის მინავლებული ავტორიტეტი კი გაზეთის გამოშვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მალე მოქალაქეთა კავშირი „ვარდების რევოლუციის" შედეგად საპნის ბუშტივით გასკდა და გაქრა. ნაციონალური მოძრაობა კი პრეზიდენტის არცთუ თანამიმდევრული ინტერვიუებით გადის იოლად. ჩემი ღრმა რწმენით, მარტოოდენ ინტერვიუებით და ტელევიზიაში გამოჩენით ქვეყნის მართვა შეუძლებელია. და რომ ასეა, პასუხს ჩვენი ყოველდღიურობა იძლევა.

თვით დიქტატორულ სახელმწიფოსაც სჭირდება მართვის რამდენიმე პულტი, რომ ხალხმა საარსებო საშუალებებთან ერთად, გონივრული საზრდოც მიიღოს. ამისი კარგი მაგალითი საბჭოთა კავშირი გახლავთ. საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები ყოვლისმომცველი იყო, ყველა დარგის და უჯრედის ზონდირება ხდებოდა. სამუშაოზე ან ტერიტორიულად კომპარტიის სამი წევრი თუ მოიყრიდა თავს, პირველადი ორგანიზაცია იქმნებოდა და ცენტრთან კავშირს ამყარებდა. არც ერთი დასახლება, დაწესებულება, სახლი და ეზო მიზანმიმართული მართვის გარეშე არ რჩებოდა. ყოველი ორშაბათი მილების დღე იყო. თითოეული თანამდებობის პირი ვალდებული გახლდათ მშრომელებისთვის მოესმინა. საუწყებო და ტერიტორიულ პარტორგანიზაციებში, ყოველ წევრს თავისი ტრიბუნა ჰქონდა და პირადი თუ სახელმწიფოებრივი ინტერესების დემონსტრირებას ახდენდა. 18 წელია ხალხს აზრს არავინ ეკითხება და არც აზრის გამოხატვის რაიმე საშუალება აქვს. მის მაგივრად და ხალხის სახელით ტელევიზორში უტიფრად ისე ლაპარაკობენ, თანხმობას და ტაშის დაკვრასაც არ საჭიროებენ. რა აუცილებლობაც არ უნდა გაწუხებდეს, დამოუკიდებელი საქართველოს თანამდებობის პირი არ მიგიღებსთ. შენ მისთვის არარაობა ხარ. კულტურის ყოფილი მინისტრი გ. გაბაშვილი, რომელიც ახლა პარლამენტის წევრია, სატელევიზიო დისკუსიებში რატომღაც მთავარ იდეოლოგად მოგვევლინა. მინისტრობის ჟამს დოკუმენტური ფილმიც გადაალებინა, სადაც ასახულია თუ მას – უფალ მინისტრს პენსიონერები რჩევა-დარიგებებით როგორ აწუხებდნენ. საქართველოში კულტურაც დანგრეულია და სპორტიც, ეს პიროვნება კი პარლამენტარად მოგვევლინა.

განვითარებადი ქვეყნის დამღა მოგვაკრეს. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს საცდური სიამოვნებით მიიღო, რათა რაც შეიძლებოდა მეტი მათხოვრის სარგო მიეღო. გოგი თოფაძეს რომ დავესესხო – საქართველო ნეოკოლონიალიზმის ყულფში აღმოჩნდა და ეკონომიკური მკვლელების სანავარდოდ იქცა. ე. წ. „ჰუმანიტარული დახმარებები" წყლად წავიდა. საშინლად შეჭირვებული ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, ოციოდე ვაიქართველი მილიონერი მივიღეთ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მინისტრებიც გამილიონერდნენ, ხალხს კი ადამიანური ცხოვრება ენატრება.

განვითარებადი ქვეყნის სტატუსმა განაპირობა, რომ ქვეყანაში ინტელექტუალი და შემოქმედი არ გვყოლია, ამიტომ მათ წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. კახა თუ ალექსანდრე ლომაიას სახით აღმოჩნდა კაცი, რომელმაც ფაზისის, გელათის და იყალთოს აკადემიების დროს შექმნილი ქართული კლასიკური განათლება, მეცნიერება, იაკობ გოგებაშვილის გენიალური ეროვნულ-პატრიოტული პედაგოგიკით მირონცხებული სწავლების მეთოდიკა, სულმნათი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ამ უნივერსიტეტის პირმშო საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მრავალწლიანი რუდუნებით შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კათედრები დაესამარებინა. და ეს მოახერხა ოთხ წელიწადში „ვარდების რევოლუციის" ზეობის ჟამს. ბატონი ლომაია ამჟამად უფრო მაღალ თანამდებობაზე ბრძანდება, რატომ? რა დამსახურებისთვის?!

კადრების შერჩევის მტკივნეული პრობლემა ერთპიროვნულად, პირადი სიმპათიებით, იმპულსურად წყდება. ხალხის აზრი ხელისუფლებას არ აინტერესებს. ოთხი წელია გაუმართლებელი კარუსელი ტრიალებს. ულირსი ადამიანები ერთმანეთს ცვლიან, ცოდნას და სპეციალობას არავითარი ფასი არა აქვს. სრულიად ახალგაზრდა ადამიანები სამარცხვინოდ კოტრდებიან. თვით თანამდებობებზედაც ისეთი ოდიოზური გახდნენ, მათი ეკრანზე გამოჩენა საერთო-სახალხო გულისწყრომას, აღშფოთებას იწვევს...

ფინანსთა მინისტრად ვინც დაინიშნა, თითქმის ყველა მილიონერი გახდა... აღარას ვამბობ ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მინისტრებზე. ისინი ისეთი უსახურნი და უცოდინარნი არიან, არც სახელი მაგონდება და არც გვარი. ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის ეს ორი სასიცოცხლო დარგი საბოლოო განადგურების პირასაა მისული...

უმუშევრობამ რომ მოსახლეობის 80 პროცენტი მოიცვა, მაღალი ბიუროკრატიის ანაზღაურება ყოველგვარი ზომიერების ფარგლებს გაშორდა, სამაგიეროდ ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომა სრულიად აუნაზღაურებელია. ნუთუ ხელისუფლება არ უნდა ფიქრობდეს, ეს დამოკიდებულება ქვეყანას სანამდე მიიყვანს?!

მეფე შიშველია. სანამ მეფე გაშიშვლდებოდა, მის კარისკაცებს ტანსაცმელი მთლიანად შემოეძარცვათ, იმდენად საძულველნი გახდნენ, საარჩევნო სიაშიც კი მათი შეყვანა შეუძლებელი გახდა, ეს მარტოოდენ მარცხი კი არა, ცოცხლად დასამარებაა, ახალგაზრდები არიან და ამ ქვეყანაში ხომ უნდა იცხოვრონ. მცირერიცხოვანი ერი ვართ და, პოეტისა არ იყოს, ჩვენ არ გვყავს შვილი დასაკარგავი...

დღეს, მესამე ათასწლეულის დასაწყისში ახდა ჩვენი მტრების მარადიული ოცნება – ქართველობა საკუთარ მიწას, სამშობლოს წყდება, ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით მამულს ყველა გადამთიელზე შეუზღუდავად ვყიდით, საქართველოს სამოთხეს უცხოელები ეპატრონებიან, მილიონნახევარი მკვიდრი ქართველი კი უცხოეთშია გადახვეწილი და ლუკმა-პურს უაღრესად დამამცირებელი შრომით შოულობს. ლამაზი ქალიშვილები ღამის დაწესებულებებში მხევლებად სხედან.

საკუთარ სამშობლოში სამასი ათასი დევნილი სულს ღაფავს. ლტოლვილებისა და დევნილების წინა მინისტრმა მათი თავშესაფრებიდან გამოყრით გული იჯერა, ახლა თითქოს ვეფერებით, მაგრამ ჩვენ თვითონ რა გაგვაჩნია, ამ უბედურებს რომ გავუზიაროთ...

შავ დღეშია საქართველო და ქართველი ერი,

როდემდე?!

**ლევან ფრუიძე**

# საქართველო შავ დღეშია, როდემდე?



№ 108. პარასკევი, 13 ივნისი, 2008 წელი.

◉ წლის ქალბატონი

*ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა „განათლების დარგში წლის ქალბატონად“ აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე დაასახელა.*

*„პატივცემულო, დოქტორო ლორთქიფანიძე, — ასე იწყება ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი წერილი, — მაქვს დიდი პატივი, პირადად გამცნოთ, რომ თქვენ წარდგენილი ბრძანდებით 2008 წლის „განათლების დარგში წლის ქალბატონად“. წარმატებული პიროვნებების მოღვაწეობის გლობალური კვლევის შედეგად, ინსტიტუტის საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა თქვენი წარდგენა ნომინაციაზე. ასეთი ნომინაციის ჩატარების საფუძველი ჩვენი ინსტიტუტის 41 წლის მუშაობის და ერთი მილიონი ბიოგრაფიის შესწავლის გამოცდილების შედეგია.*

*საბჭო ასეთ პიროვნებებს არჩევს მთელ მსოფლიოში სხვადასხვა უნივერსიტეტთან და ორგანიზაციასთან ურთიერთობის შედეგად.*

*ერთობ რთული ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ ვინ იქნებოდა რჩეული განათლების სფეროში. თქვენ ხართ ის რჩეული პიროვნება, ვინც გაიმარჯვა ამ ნომინაციაში ასობით კანდიდატურის განხილვის შემდეგ გილოცავთ!“.*

*წერილს ხელს აწერს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის პრეზიდენტი ჯ.მ. ევანსი.*



## მარიამ ლორთქიფანიძე:

# ისინი გაყალბებული ისტორიით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ საქართველოში არსებობდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო

ეს წარმატება ქალბატონი მარიამისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ შემთხვევითი არ ყოფილა. ქართველი მეცნიერის შემოქმედებას, მის შრომებს კარგად იცნობენ საერთაშორისო ასპარეზზე. ჯერ კიდევ 1998 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტიდან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ არჩეული იყო საუკუნის ადამიანად და ამის დამადასტურებელი მედალიც გამოუგზავნეს.

მოგვიანებით მეცნიერმა კემბრიჯიდანაც მიიღო წერილი, რომელიც ატყობინებდა, რომ ამ ბიოგრაფიების შემსწავლელ კომისიას ბევრი საქმე დაუგროვდა და მარიამ ლორთქიფანიძეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობას სთავაზობდნენ. წერილში აღნიშნული იყო, რომ ეს საპატიო თანამდებობაა, ისინი შეატყობინებდნენ მერიას, სადაც საზეიმოდ გადასცემდნენ ამ თანამდებობაზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტს.

„წერილი სამი თვით დაგვიანებით მივიღე. მერიიდანაც არანაირი ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ამიტომ საჭიროდ აღარ მივიჩნიე გამოხმაურება და პასუხის მიწერა იქნებ შემეშალა“? — ამბობს მეცნიერი.

ეს ამბავი მაშინ არავის გაუგია. ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის პრემიების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ყოველთვის თავმდაბლობა გამოარჩევდა და საკუთარი წარმატება არასდროს სალაპარაკოდ არ უქცევია.

მაგრამ ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა წერილი უნივერსიტეტის უცხოეთის განყოფილებას გამოუგზავნა, საიდანაც დეკანატს შეატყობინეს. ასე გახმაურდა ეს დიდი საერთაშორისო აღიარება.

„თუ რამეს მივაღწიე, ჩემი ოჯახის დამსახურებაა,— ამბობს ქალბატონი მარიამი, — სადაც უმთავრესი ყურადღება წიგნის კითხვას ექცეოდა. ბიბლიოთეკა კარგი გვქონდა, ამ მხრივ ნიადაგი შემზადებული მქონდა. იგივე შემიძლია გავიმეორო ჩემს სკოლაზე (ყოფილი 25-ე სკოლა, ამჟამად 53-ე ქვიაძ, საუკეთესო პედაგოგები. მასწავლიდნენ. რაც დრო გადის, მით უფრო ვაფასებ ჩემი სკოლის პედაგოგებს.

შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, შესანიშნავი პროფესურა გვყავდა. განსაკუთრებით გამოვარჩევდი ჩემს პირად ხელმძღვანელს ასპირანტურაში სიმონ ჯანაშიას. მასთან სამი წლის მუშაობის ბედნიერება მქონდა და ძალიან ბევრი რამ შევიძინე. შემდეგ ვმუშაობდი ისტორიის ინსტიტუტში, ნიკო ბერძენიშვილთან განყოფილების გამგედ. ძალიან ნაყოფიერი წლები იყო. ჩემი მუშაობისთვის აუცილებელი იყო არაბული და სომხური ენების შესწავლაც. არაბულს გიორგი წერეთელი მასწავლიდა, სომხურს— ილია აბულაძე. აი, ასეთ ხალხთან მქონდა ურთიერთობა და მათგან, ყველასგან ბევრი რამ შევიძინე.

იმავდროულად, საკუთარ თავზეც ბევრს ვმუშაობდი. რაც მთავარია, ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს საქმე, რომელსაც ვემსახურები. მართალია, ცოტას ვიღლებოდი, სამი შვილი მყავდა, მაგრამ საქმის სიყვარული ადამიანს შრომას უმსუბუქებს.

**— რა განსხვავებაა თქვენი დროისა და ახლანდელი თაობის ახალგაზრდობას შორის?**

—სამწუხაროდ, რეფორმამ მრავალი კარგი პედაგოგი მოაშორა უნივერსიტეტს. რაც შეეხება სტუდენტობას, ყველა კურსზე არის კარგი სტუდენტების ჯგუფი, რომელთაც სწავლა უნდათ. მაგრამ უწინ უფრო განათლებული სტუდენტები იყვნენ. ქართულს რომ თავი დავანებოთ, ევროპული და რუსული ლიტერატურაც წაკითხული უნდა გქონოდა. ახლა ეს მაინც და მაინც აუცილებელი არ არის. როდესაც განათლების დარგის ხელმძღვანელი ბავშვებს ეტყვის, წიგნი რად გინდათ, ინტერნეტით ისარგებლეთო, ასეთ დროზე წიგნზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. ეს, ვფიქრობ, კარგს ვერას მოგვიტანს.

გლობალიზაციის პროცესს, ბუნებრივია, ჩვენ ვერ გამოვეთიშებით, მაგრამ თავი უნდა დავიცვათ. ისტორიის მანძილზე, მტრულად განწყობილ ქვეყნებს შორის ვიყავით მოქცეული, ჩვენი წინაპრები მტრებისგანაც კი სწავლობდნენ იმას, რაც მათთვის მისაღები და კარგი იყო. როგორც ჩანს, რაღაც ფილტრი არსებობდა და იგივე არაბებისგან, სპარსელებისგან, რუსებისაგან ჩვენი წინაპრები მხოლოდ იმას იღებდნენ, რაც მათ კულტურას გაუმდიდრებდა და მათ კულტურაზე უარყოფითად იქ არ იმოქმედებდა.

ამ გლობალიზაციის პროცესში ვერც მრეწველობით და სხვა რამით თავს ვერ გამოვიჩენთ. ეს ტყუილია. ერთადერთი, რამაც მომავალ მსოფლიოში ჩვენ და ჩვენნაირ ერებს უნდა შეუნარჩუნოს არსებობა, ეროვნული კულტურაა. ამიტომ ვფიქრობ, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ქართული კულტურა განვითარდეს. ჩვენი ხსნა აქ არის, სხვა ერებში რომ არ ავითქვიფოთ.

**— თქვენ საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული მეცნიერი ბრძანდებით, მაგრამ საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდით. ამას იმიტომ ვუკავშირებ ერთმანეთს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენთან ცუდი ტენდენცია დამკვიდრდა — ვისაც კი რამე შეუქმნია იმ პერიოდში, კომუნისტურ გადმონაშთად მიიჩნევენ...**

— მართლაც, ძალიან ცუდი ტენდენციაა. ჩვენ კომუნისტებს კი არ ვემსახურებოდით, საკუთარ საქმეს ვაკეთებდით. ვიცოდით, რომ კომუნისტების ხელისუფლებას ვერ მოვერეოდით და ვერ დავანგრევდით. ამიტომაც ვცდილობდით, ჩვენი ქვეყნისთვის რამე გაგვეკეთებინა. ვისაც რამე გაუკეთებია მეცნიერებაში, მწერლობასა თუ ხელოვნებაში, მათ ამისთვის მადლობა უნდა გადაუხადონ, რადგან ურთულეს პირობებში, მძიმე წნეხის ქვეშ ვმუშაობდით.

ყველაზე დიდ წნეხში ისტორია მოჰყვა, არ ვგულისხმობ მე-19-20 საუკუნეების ისტორიას. რასაკვირველია, კონიუნქტურას ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ ძველი და შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, ჩემმა მასწავლებლებმა — სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვებმა მოახერხეს ის, რომ ისტორია არ გაუყალბებიათ. ივანე ჯავახიშვილის მოწაფეებმა და მისმა სკოლამ შეძლო ის, რომ ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია ხელოვნურად არ გაყალბებულა.

**— არ შემიძლია აფხაზეთის თემაზე არ გკითხოთ. ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის ჩაბარება სურს. თქვენ, როგორც ისტორიკოსი, როგორ შეაფასებთ იმ მოვლენებს, რაც დღეს ამ თვალსაზრისით ხდება?**

— ვინმეს რომ აფხაზეთის ჩაბარება უნდოდეს, ის, პირდაპირ ვიტყვი, ხალხმა უნდა დაახრჩოს. ეს არ შეიძლება. გულახდილად გეტყვით, ასეთი შთაბეჭდილება არ მექმნება, თუმცა, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაბრუნება რომ ძალიან ძნელი საქმეა, ამაში ეჭვიც არ მეპარება.

რაც შეეხება მათ და მათი მომხრეების პოზიციას, ისინი ფაქტობრივად გაყალბებული ისტორიით ცდილობენ, დაგვიმტკიცონ, რომ თურმე საქართველოში არსებობდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და არსე-




ბობდა ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ხომ აბსურდია. ამის შესახებ ჩემი ლექცია ვრცლად გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 6 ივნისის ნომერში.

**— საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებს ფართო ავტონომია შესთავაზა. თქვენი აზრით, ეს მისაღებია ჩვენთვის?**

— ფართო ავტონომია, ალბათ, აუცილებელია. მინდა გითხრათ, რომ უკვე დიდი ხანია ვკითხულობ რესპუბლიკელების შედგენილ კონცეფციას, სადაც ბევრ რამეს ვერ დავეთანხმები. კონცეფციის მიხედვით, აფხაზეთი საქართველოში „სუვერენული“ სახელმწიფო უნდა იყოს. სუვერენულის მნიშვნელობა ყველამ კარგად ვიცით. ეს აზრი თავის დროზე ბოდენმა გაახმიანა, რასაც კონცეფციის ავტორები იმეორებენ. ამაზე დათანხმება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

იმავდროულად, მცდარია, როცა ამ კონცეფციის ქართველი ავტორები, პოლიტოლოგები წერენ, თუ საქართველოში მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა იქნება, აფხაზეთსაც თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს, ოღონდ ის აფხაზი ე.ი. აფსუა უნდა იყოსო.

გავიხსენოთ მოვლენები. დღეს ქართველები, სამწუხაროდ, აფხაზეთში აღარ არიან. საერთოდ, აფხაზეთის სტატუსი მას შემდეგ უნდა გადაწყდეს, როცა დევნილები დაბრუნდებიან, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაიმართოს რეფერენდუმი და გადაწყდეს, რა სურს ამ ხალხს.

ვინმეს გვჯერა, რომ აფსუების 17-მა პროცენტმა გამოაგდო იქიდან 45 პროცენტი ქართული მოსახლეობისა? ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, ეს რომელმა ძალამ მოიმოქმედა? ასე რომ, აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს. თუ ქართველების 45 პროცენტი აფხაზეთში დაბრუნდება, რატომ უნდა იყოს პრეზიდენტი აუცილებლად ეროვნებით აფსუა. და არა ზოგადად აფხაზეთის მოქალაქე? რატომ უნდა ჰქონდეთ აფსუებს ასეთი პრივილეგიები, საქართველოს დასასუსტებლად, რათა შემდეგ რუსეთს შეუერთონ?

**— ხელისუფლების მიერ შემუშავებულ დოკუმენტს თუ გაეცანით?**

— ვიცნობ ამ დოკუმენტს, იქ აფხაზ პრეზიდენტზე და სეპარატისტულ სახელმწიფოზე ვერაფერი ვნახე, მაგრამ ფართო ავტონომია ჩაწერილია. რას გულისხმობს პრეზიდენტი ამ ფართო ავტონომიაში? ჩვენს პარლამენტში მათი წარმომადგენლების განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობას, ხოლო როდესაც აფხაზეთის საკითხი იხილება, ვეტოს დადების უფლებასო. არის ასეთი რაღაცეები, მაგრამ ის არ წერია, რომ მაინც და მაინც აფსუა უნდა იყოს იმათი პრეზიდენტი და სეპარატისტული სახელმწიფო წარმონაქმნი უნდა იყოს.

საკამათოა დოკუმენტის ის ადგილიც, რომელიც გვამცნობს, რომ აფხაზები ერთიანი საქართველოს შემოქმედი ერთ-ერთი ერია. არავითარი აფხაზი ერი შუასაუკუნეებში არ არსებობდა.

XIII საუკუნის შემდეგ საქართველოში განვითარებული უმძიმესი მოვლენების შედეგად (ჯალალ ედ დინი, მონღოლები, თურქმენები...ძ, XV საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოდ.

XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე, ოსმალეთი და ირანი იბრძოდნენ საქართველოს დასაპყრობად, რამაც გამოიწვია ბარში მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება. XVI საუკუნიდან ჩრდილოეთიდან დიდი, ძლიერი, აგრესიული, მართლმადიდებლური რუსეთი მოიწევს, რომელიც ავიწროვებს ჩრდილო-კავკასიის ველების (შემდეგ სამხრეთ რუსეთი უწოდესძ მოსახლეობას, ისინი კი თავშესაფარს კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე ჰპოვებენ. და შემდეგ თანდათან კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდიან, საიდანაც ქართველი მთიელები მოსახლეობაშემცირებულ ბარში ჩადიან. ასე გაჩნდა კახეთში ლეკთა, შიდა ქართლში ოსთა, ხოლო ქართულ ისტორიულ მხარეში — აფხაზეთში ჩრდილოკავკასიელ აფსუათა მოსახლეობა, რომელთაც ჩვენმა წინაპრებმა, რადგან ისინი ისტორიულ აფხაზეთში დასახლდნენ, აფხაზები უწოდეს.

ასე გაჩნდა აფსუათა მოსახლეობა რომელიც დღეს თავის თავს აფსუებს, თავის სახელმწიფოს აფსნის, ხოლო ენას აფსუათა ენას უწოდებენ. ახლა არის აფსუა, ძალიან მკვიდრად ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნებით, კულტურით, მწერლობით ენით... იგი სწორედაც რომ აფსუაა და არა — აფხაზი. ჩვენ ვუწოდეთ მას აფხაზი, მაგრამ ვინ რჯიდა ჩვენს წინაპრებს, მაინც და მაინც აფხაზი რომ უწოდეს? ამან ძალიან ბევრი გაუგებრობა გამოიწვია.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

ფიქრები

***ყოველთვის** სიამაყის გრძნობით აღვნიშნავ, რომ ძირძველი თბილისელი, სოლოლაკში დაბადებულ-გაზრდილი კაცი ვარ. „სიამაყე“, ჩემი პიროვნული ღირსებების წარმოსაჩენად როდი ვთქვი. ამაში იმ ცხოვრების წესს ვგულისხმობ, რომელიც მრავალჭირგამოვლილ და ბევრისმნახველ ქალაქში მკვიდრობდა და ცხოვრების ყოველდღიურ წესად იყო ქცეული, რის გარეშეც ვერავინ დაიქადნიდა თბილისელობას. ჰოდა, ვინც უკეთ იცავდა ამ დაუწერელ წეს-კანონებს, მით უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობდა. უბნებსაც ასეთი ადამიანების სიმრავლე წარმოაჩენდა, რადგან სწორედ ისინი ქმნიდნენ და ამკვიდრებდნენ ზნეობრივ ნორმებს, აყალიბებდნენ ცხოვრების იმ რაინდულ წესებს, რასაც თბილისური ერქვა. და განა მარტო თბილისში? არ შეიძლება ბათუმზე, მის ტრადიციებზე ისაუბრო და მისი „კოლორიტები“ — დავით ასამბაძე, მემედ ბედია, ბოგდან კირაკოსიანი, ალექსანდრე მგელაძე, პლატონ გიგინეიშვილი და სხვები არ გაიხსენო, რომლებიც ამას ქმნიდნენ. ეს იმას ემგვანება, ბათუმზე საუბრობდე და ბულვარი არ ახსენო.*

# „ვინც არა ჰგავს კახაბერსა“...

თბილისური წესების ერთ-ერთი კანონმდებელი, ყარაჩოღელთა ტრადიციების გამგრძელებელი, ჩვენი უბნის სინდისი-ნამუსი, საბარგო მანქანის მძღოლი, სოლოლაკელი გოგი გურგენიძე, მეტსახელად „რებეცა“ გახლდათ. მაღალი, ჩამკვრივებული, მხარბეჭიანი კაცი იყო. მორიდებული, თავმდაბალი, იშვიათად იყენებდა ძალისმიერ უპირატესობას. განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო პატარების მიმართ. ისე გვექცეოდა, თითქოს მისი სისხლ-ხორცი ვყოფილიყავით, ამიტომაც ყველა პატივს ვცემდით და გვიყვარდა.

მისდამი პატივისცემა და სიყვარული ჩემმა ბავშვობის ერთმა საკმაოდ სამარცხვინო საქციელმა გამიათკეცა, რომელიც ახლა, ათეულობით წლების მერეც, უსიამოვნო მოგონებად შემორჩა მეხსიერებას.

ჩვენს უბანში, ენგელსის ქუჩაზე ერთი ტანკენარი, პირმშვენიერი გოგონა ცხოვრობდა. ამ ღვთით ნაზოძები სილამაზით განებივრებულს თაყვანისმცემლები, ცხადია, არ აკლდა. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენს მეზობელ ქუჩაზე მცხოვრები „ღორო“ იყო. თავადაც მოგეხსენებათ, ყველა შერქმეულ სახელს თავისი წარმომავლობა და საფუძველი აქვს. ამ კარგად ნასუქ და ნაპატიებ თავბრტყელა ბიჭს, ეს მეტსახელი მას მერე შეარქვეს, ნიძლავზე ასამდე ხინკალი რომ შეჭამა, ჭიპებიანად. როდის დაადგა ამ გოგონას თვალი, არავინ იცის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბირჟაზე თავშეყრილ ბიჭებს განუცხადა: „ეგ გოგო ჩემია, გულში არავინ არაფერი გაივლოთ, არ გაეკაროთო“. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ის „დამსჯელი“ ოპერაციები, რომელსაც მისი რჩეულის გამცილებელ ბიჭებს უწყობდა.

იმ წელს, როცა ეს ამბავი მოხდა, საგაზაფხულო არდადეგებიდან ახალი ჩამოსული ვიყავი. როგორც ჩანდა, არც „ღოროს“ დაესვენა ცუდად. ამ სამ თვეში ხორციც კარგად შეესხა და სიმაღლეშიც გაზრდილიყო, რაც ჩვენში, პატარებში მის „ავტორიტეტს“ შესამჩნევად ზრდიდა. ამფსონებს ეთქვათ, შენს რჩეულს რა ხანია ერთი და იგივე ბიჭი მიაცილებსო. ის მზაკვრული ოპერაცია, რომლის შესრულება მე მხვდა წილად, სწორედ ამ ყმაწვილის წინააღმდეგ იყო დაგეგმილი. რატომ მაინცდამაინც მე? ალბათ იმიტომ, რომ სხვებზე გაბედული ვიყავი. დავალება კი ასეთი მქონდა, წყვილი რომ გამოჩნდებოდა, პომიდორი (რომლითაც ქიშკართან მდგარი სანაგვე ყუთი თითქმის ყოველთვის პირთამდე სავსე იყო) უნდა მესროლა „დაუპატიჟებელი სასიძოსათვის“.

ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი. ჩემსკენ მომავალ, საუბარში გართულ წყვილს გადავუდექი და ორი საკმაოდ მოზრდილი პომიდორი ვესროლე. სცენარის თანახმად, ბიჭი ჩემსკენ რომ წამოვიდოდა, „ღორო“ და მისი ორი ძმაკაცი სწორედ მაშინ უნდა გადადგომოდნენ წინ. მაგრამ მათზე ადრე ვიღაც გამვლელმა შემომიტია და მეც გაქცევით ვუშველე თავს. როგორც მერე გაირკვა, არც ჩემი წამქეზებლები გამოჩენილან.

დიდხანს ვერ ვბედავდი ქუჩაში ცხვირის გამოყოფას, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ცნობისმოყვარეობამ და ჩემი „გმირული საქციელის“ შედეგის გაგების სურვილმა მძლია და ბირჟაზე გავედი, სადაც ბიჭებს რაღაც უგუნებობა შევატყვე. არ მომსალმებიან. ჩემმა უფროსმა ძმამ, არაფერი უთქვამს, ისე გამაწნა სილა. ტკივილისა და შეურაცხყოფისგან თვალთ დამიბნელდა. არ ვიცი, ამას რა გაგრძელება მოჰყვებოდა, ბედად „რებეცა“ რომ არ გამოჩენილიყო. ჩემს ძმას ხელი მოჰკიდა, რაშია საქმე, რას ერჩი ამ ბალღსო. საქმეში რომ გაერკვა, ბიჭებს უთხრა: „წადით ერთი, ის „ღორო“ აქ მომიყვანეთო“. გაგზავნილები მალე მობრუნდნენ და უთხრეს, „ღორო“ სახლში არ არისო. მაშინ ყველას გასაგონად განაცხადა — საცემი ეს კი არა, ის ძაღლისშვილიაო.



მე მხარზე ხელი დამადო და მითხრა, წამოდი, სახლში წავიდეთო.

— ამას შენგან, ნამდვილად არ მოველოდი.

— რა იყო, ისეთი რა ვქენი? ეგ, ხომ ჩვენი უბნელი არ არის?

— მით უარესი, სტუმარს მიაყენე შეურაცხყოფა, რაც მთავარია, ჩვენი მარინა შეარცხვინე, მთელ უბანს თავი მოგვჭერი. ქალაქში იმას კი არ იტყვიან, ეს ვიღაც სულელმა პატარა ბიჭმა ჩაიდინაო, არამედ სოლოლაკში ხალხს ისე სამარცხვინოდ ექცევიანო. ახლა შენ სახლში წადი, გაკვეთილები ისწავლე, მაგ საქმეს მე მივხედავ, იქნება ნამუსი მოგწმინდოო.

პირველსავე კვირა დღეს შინ გვეწვია, დედა მოიკითხა, ჩვეულებისამებრ ჰკითხა, ბიჭები ხომ არ გაბრაზებენო, სუფრასთან მიპატიჟებაზე უარი თქვა. მე და ოთარი ცოტას გავივლითო. ქუჩაში გამოსვლის შემდეგ „რებეცამ“ მითხრა — წამო ერთი ენგელსის ქუჩისკენ წავიდეთო. გულმა უსიამო რეჩხი მიყო, მაგრამ უარს როგორ გავუბედავდი, მარინა, ძველ მკვიდრად ნაშენი სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. კარი თავად მან გაგვიღო.

— ეს ის ვაჟკაცია? შემოდით, შემოდით.

სასტუმრო ოთახში მაგიდასთან ჩამოვჯექი. სირცხვილის გრძნობამ, მარინას გულითადმა შეხვედრამ, „რებეცას“ გამოსარჩლებამ და შეგონებებმა, ჩემი ძმის გაწნულმა სილამ, რომელიც მისგან ერთადერთხელ დავიმსახურე, გული ამიჩუყა და ავტირდი. მარინამ ხელი მომხვია, ძალიან გთხოვ, არ იტირო, თორემ მეც ავტირდებიო.... ამასობაში ვიღაცამ კარები შემოაღო. მარინა შესაგებებლად გაეშურა. მე და „რებეცა“ მარტონი დავრჩით. ეტყობა, მარინა მოუყვა გიორგის ჩემს სტუმრობას რა გაგრძელება მოჰყვა. ოთახში შემოსული გიორგი, ვითომც არაფერი მომხდარაო, „რებეცას“ ძველი ნაცნობივით მიესალმა, მე ხელი ჩამომართვა. საუბარი გამიბა, გამომკითხა რომელ სკოლაში სწავლობ, რომელ კლასში ხარო. იმდღევანდელ ამბავზე სიტყვაც არ დაუძრას. რომ მოვდიოდით, მითხრა, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ვიმეგობროთო. მართლაც, მას შემდეგ გიორგი და მარინა ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები გახდნენ. გიორგი უფროს და-ძმებს დაუმეგობრდა. ჩემს მიმართ კი ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულ ყურადღებას და სიყვარულს გამოხატავდა, ხან სად დავყავდი და ხან სად. 1941-ში ომი დაიწყო. იმავე წელს, ნოემბრის მიწურულს გიორგი ჯარში გაიწვიეს. მისგან ორად-ორი წერილი მივიღე. მალე უგზოუკვლოდ დაიკარგა...

თუ რა იყო მერე, ეს ცალკე საუბრის თემაა და ამით თავს არ შეგაწყენთ. მე მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ თუ დღეს ავკაცობასთან წილნაყარი კაცი არა ვარ, ეს იმ სულმნათი ადამიანების — „რებეცასა“, გიორგის, მარინას სიკეთის, სანთელ-საკმევლის მადლი გახლავთ, რომელიც დამქონდა და დამაქვს გულით.

ახლა, საუკუნის გადასახედიდან თამამად შემიძლია ვთქვა: ეს ადამიანები მაღალზნეობრივი, თვითმყოფადი, ქართული გენის სისხლ-ხორცეული ნაწილი არიან, რომელთა ცხოვრების მიზანი სიყვარული და სიკეთე იყო. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები.

არ ვიცი, ეს ამბავი ვისზე როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს, შესაძლოა, ვიღაცას გაჭიანურებულიც მოეჩვენოს, მაგრამ ის ჩემი სულიერების, ყოველდღიური ყოფის თავწყაროა. მიზანი კი ის გახლდათ, პასუხი გამეცა დღეს ასე გახმაურებული „ქუჩის“ როლსა და მნიშვნელობაზე მოზარდის ფორმირების, მისი ფსიქიკის ჩამოყალიბების საქმეში. პირდაპირ გეტყვით, ქუჩა საამისოდ არ გამოდგება. უფრო მეტიც, იგი დამღუპველიც კია, რადგან ქუჩა, ეს „ღორო“ და მისი მსგავსნი არიან, მაგრამ თუ გსურთ ყმაწვილმა ქვეყნის ერთგულებაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ვაჟკაცობაზე, ქართულისა თუ ისტორიის მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები სრულად შეიგრძნოს და გაითავისოს, ქალაქის, მისი ცხოვრების წესს უნდა იყოს ნაზიარები. ხოლო გმირის ფორმირებისათვის, ახალი აღმზრდელობითი გზების ძიება, საუკუნოვან ტრადიციებზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა ყურით მოთრეულ, მექანიკურად გადმოღებულ უცხოურზე, როგორც ახლა ხდება. უცხოეთში განათლების მიღების სურვილი ქართველ კაცს ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ახლა ამან უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამერიკაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში თუ სხვაგან ისე მივდი-მოვდივართ, როგორც ქუთაისში, თელავსა თუ ფოთში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უცხოობაში ნანახ-გაგონილი უცვლელად გადმოვიტანოთ და დავნერგოთ, ეროვნულზე, საკუთარზე კი ცხვირი ავიბზუოთ, გიორგი ერისთავის „რუსეთუმესავით“ ვაზი ამოვძირკვოთ და „კაპუსტა“ მოვაშენოთ.

ვიღაცა შეიძლება შემომედავოს, რას გვირჩევ, ისევ ძველს დავუბრუნდეთო? „რებეცას“ წესებით ვიცხოვროთო?

— არა, მხოლოდ ძველით არ უნდა ვისულდგმულოთ, მაგრამ „რებეცას“ ცხოვრებისეული ფილოსოფიას ზურგს ნუ შევაქცევთ. ტელესერიალების პერსონაჟებს ნუ დაემსგავსებით.

პასუხი ამაზეც მკვეთრი და რადიკალური გექნებათ ალბათ: თქვენ თქვენი დრო მოჭამეთ, გვაცალეთ, ჩვენ უკეთ ვიცით, რა და როგორ უნდა ვაკეთოთ.

ახლა, საბედნიეროდ, ცხოვრებას, ყოველდღიურობას ისეთი პირი უჩანს, მავანი ჩვენსკენაც აპირებს გამოხედვას. არა გვგონია, ქვეყანამ ამით რაიმე წააგოს! თუ ჩემს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს გაიზიარებთ, დღეს ძირითადი და მთავარი ის გახლავთ, რომ კომპიუტერებისა და ინტერნეტის საუკუნეში, რითი შევავსოთ ის ზნეობრივი სიცარიელე, რომელიც უფსკრულად იქცა. იქნებ, სწორედ ამის მცდელობაც იყოს, თანამედროვე გმირის მოდელის შექმნა. აბა, ამაში ცუდი რაა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რა კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ, ვის და რას ჩავთვლით და მივანიჭებთ ასეთ მაღალ მისიას.

ჩემი თაობის ადამიანებს ახსოვთ სკოლის „პიონერთა ოთახებში“ პავლიკა მოროზოვის დიდ პორტრეტთან პარტიისა და ქვეყნის ერთგულების ფიცს რომ გვადებინებდნენ, ეს კი ის პავლიკა მოროზოვია, რომლის დასმენის შემდეგ, მისი მშობლები და ახლობლები დახვრიტეს. სულ ახლახან კი ერთ-ერთ რუსულ სერიალში სტალინს ათქმევინეს, სხვა გზა არ გვქონდა, გმირად უნდა გვეღიარებინა ის გველის წიწილიო...

მეორე მსოფლიო ომის დროს მოედნებზე, კლუბებში, კინოთეატრებსა თუ სხვა ხალმრავალ ადგილებში გაკრული იყო პლაკატები, საბჭოთა სნაიპერების გამოსახულებებით, მათ ქვეშ გაკეთებული მინაწერები იუწყებოდა — ივანოვმა, პეტროვმა თუ გოლუბკოვამ ასზე მეტი გერმანელი ფაშისტი გაანადგურაო. ომის დროს სნაიპერიც უნდა გვყავდეს და ამფეთქებლებიც, მაგრამ არა მგონია, გამართლება ჰქონდეს ასეთ რეკლამას, ან რა სასიამოვნო მოგონებად შეიძლება შემორჩეს ვინმეს, რომ ადამიანებზე მონადირე მისმა მამამ, დედამ, ბიძამ თუ ბაბუამ მრავალი კაცი გამოასალმა წუთისოფელს.

კარგიცა და ცუდიც ზნეობრივი კატეგორიებია, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებული, ხშირად კი თავსმოხვეული ფსიქოლოგიური ნორმების გამოხატულებაა. ამდენად, მთავარია, ვიდრე დასკვნას გავაკეთებდეთ, ზუსტად, სიღრმისეულად განისაზღვროს როგორც ერთის, ისე მეორის არსი.

იხ. 13 გვ.

ინფორმაცია

## აფეთქება შუამთის ქუჩაზე

**გუშინ** სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩის 8 ნომერში, გაზის აფეთქების შედეგად საცხოვრებელი სახლის ერთი სადარბაზო ჩამოინგრა.

კორპუსის ოთხსართულიანია და ჩამონგრეული სადარბაზო საცხოვრებლად უვარგისია.

როგორც კორპუსის მცხოვრებლებმა განაცხადეს, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მაღაზია, რომლის სარდაფშიც, სავარაუდოდ, გაზი დაგროვდა, რასაც აფეთქება მოჰყვა.

აფეთქების შედეგად სულ 16 ოჯახია დაზარალებული, მათგან დროებითი საცხოვრებელი 9 ოჯახს სჭირდება. მათ ადგილობრივი რაიონის გამგეობა დაეხმარება.

რაც შეეხებათ აფეთქების დროს დაშავებული კობახიძეების ოჯახის წევრებს, მამა-შვილი როსტომ და ელგუჯა კობახიძეები პირველ კლინიკურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ელგუჯა კობახიძე. ორივე მათგანს ქალა-ტვინის ტრავმა აქვს და ექიმების განცხადებით, მძიმე ნეიროქირურგიული ჩარევა სჭირდებათ.

მეორე შვილს და დედას, ელენე კობახიძეს მსუბუქი დაზიანებები აქვთ და მათი მდგომარეობა სტაბილურია.

ინტერპრესნიუსი



ჩვენი ბიბლიოთეკა

**შუაღამე** გადასული იყო, როცა ანა და ზაქარია შინ დაბრუნდნენ და შესასვლელთან გონდოლას წაადგნენ. ორივე გაკვირვებული დარჩა, შიგ მძინარე სებასტიანი რომ დაინახეს, რომელიც ზაქარიას ძალიან ფერმიხდილი ეჩვენა, თუმცაღა ფერმიხდილობის ახსნა მთვარის შუქითაც შეიძლებოდა. უცებ ანას კივილი ცას მისწვდა. მწვანე სახლიდან შავ ლაბადაში გახვეული კაცი გამოვიდა, სახეს შიშის მომგვრელი გრძელნისკარტიანი ნიღაბი უფარავდა.

ანამ იცნო. ეს იყო, როგორც მან ზაქარიას წასჩურჩულა, შიშისაგან ზედ აკრულმა, ვენეციელი cazzamarte — სიკვდილის მეხრე თუ მიცვალებულთა გადამზიდავი. ნიღბიანმა კაცმა ხმაამოუღებლივ გაატარა ისინი, რადგან თავისი შავბნელი საქმე უკვე მოეთავებინა. ანა და ზაქარია მსწრაფლ შეცვივდნენ მწვანე სახლში, რომლის კიბეებიც სისხლით იყო გათხუპნილი. მაესტრო ჯერემიას ოთახში, სადაც ისინი ერთ-ერთმა ჟანდარმმა შეგზავნა, რამდენიმე კაცი დახვდათ. ზაქარიამ პირველად ნახა ეს ოთახი, საიდანაც ხშირად სმენოდა ნაირ-ნაირი ხმები, მუსიკა და საათის რეკვა. აქ ორი ფანჯარა იყო: ერთი, დიდი, საოცრებათა არხს გადაჰყურებდა, პატარა — წმინდა ქრიზოსტომის არხს. დიდი ფანჯარა ღია იყო. ოთახში ჩემბალო, ორი სარკე, წიგნებიანი ტრიალა თაროედი და მაგიდა იდგა. კედელზე საათი ეკიდა, ციფრების მაგივრად ლალ-ბადახშჩასმული. ოთხივე კედლიდან საკარნავალო ნიღბები იმზირებოდნენ. აქვე იყო ფანქრით ნახატი სურათი, ვენეციის ხედი, რიო დეი მენდიკანტი, ხელწერის მიხედვით კანალეტოს ნამუშევარი, და კიდევ რამდენიმე სურათი; ერთ-ერთი კუთხე დივანს ეჭირა, ზედ ვენეციური აბრეშუმი ჰქონდა გადაკრული, რომელიც გემოთი ტკბილი ჩანს. იატაკი სისხლით იყო მოსვრილი.

ოთახში იყვნენ კიმიკო — ვენეციური ინკვიზიციის გამოცდილი, დამზნილი მესამსალე (ამ საქმეში საკმაოდ ცნობილი კაზანოვას მემკვიდრე) და ორთოდენა საფრთხობელა კაცი, ვისაც კარგად იცნობდა ლაგუნის ქალაქის თითოეული მცხოვრები — ვენეციის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მღვდელი კრისტოფოლო კრისტოფოლი. როგორც ხალხი ლაპარაკობდა, ამ მღვდლის ერთი მარტო გამოჩენაც თურმე შიშის ზარსა სცემდა ყველაზე უფრო ლომგულთაც კი.

იმათ წინ, სავარძელში გაშხლართული, მაესტრო ჯერემია იწვა. ხელები გასისხლიანებოდა. ძირს, ფეხებთან, გატეხილი სასმისი ეგდო, რომელიც ზაქარიამ უმალ იცნო და გულში გონდოლიერს დაუკავშირა, ქვემოთ გონდოლაში მწოლიარე რომ ნახეს წეღან. სასმისის გვერდით მან კოკროჭინა თიხის ჭიჭლასაც ჰკიდა თვალი, რომელსაც პირველად ხედავდა. ჭიჭლა უსარგილო, უთავსაცობო იყო და, როგორც ჩანს, ცარიელი. ხელზე მაესტრო ჯერემიას ქვის ბეჭედი ჰქონდა. ერთ-ერთი ჟანდარმი ბერიკაცს ზედ წახრილი ადგა და მაესტროს პირის წინ ხელებს უცნაურად აქნევდა. ზაქარიამ თავზარდაცემულმა შენიშნა, რომ ბეჭედი, რომელიც მაესტრო ჯერემიას ხელზე ჰქონდა, ძალიან ჰგავდა იმას, ზაბეტამ რომ აჩუქა. ახლა ის ცერზე ეკეთა, ამიტომ ხელი მაშინვე ჯიბეში ჩაიყო, რათა საჩუქარი არავის არ დაენახა.

— გუშინდელი მკვდარია, — თქვა ჟანდარმმა წელის ზელა-ზელით, რომელიც აშკარად სტკიოდა.

ანამ შეჰკივლა, ორთოდენა მღვდელი კი მიუბრუნდა და თავისი მძიმე ნები დასამშვიდებლად კეფაზე დაადო.

— ნუ სტირი, შვილო ჩემო, ეს სისხლი არ არის. ეს არცვის არ მოუკლავს. ახლავე გავიგებთ, ხომ არ მოიწამლა.

კრისტოფოლის ნიშანს დამორჩილებულმა კიმიკომ კი თქვა:

— შეიძლება მტკიცება, რომ გუშინ დაახლოებით საღამოს ექვს საათზე გარდაცვლილა, რის თქმის უფლებასაც ტუჩებზე შემხმარი დორბლი გვაძლევს. დორბლის შემკვრივებას ბარე ამდენი ხანი უნდა.




მერმე მან გარდაცვლილის ფეხებთან დაიჩოქა. თიხის ჭიჭლა აიღო და დასუნა.

— ცარიელია. შიგ წყალი მდგარა. — ჭურჭლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქეთიდან რომ ჩამოაქვთ, ის წყალი.

ამის შემდეგ მან მინის სასმისის ნამსხვრევები შეაგროვა და გასინჯა.

— მაესტრო მოწამლული არ არის. რამდენიმე თვეა, ამ სასმისისთვის პირი არცვის არ მიუკარებია. ტენის ნატამალიც არ ეტყობა და სულ მთლად მტვრიანია... ერთი წამით!

კიმიკო მაესტროსკენ შებრუნდა და გულდასმით გაუსინჯა ქვისბეჭდიანი ხელი. მერმე იმ ხელს შეეშვა და ახლა მეორე ხელის თითებს დაუწყო თვალიერება.

— გასაგებია, რაც მომხდარა, ოღონდ გაუგებარია, რატომ მოხდა.

— ეგ რას ნიშნავს? — დაეკითხა კრისტოფოლი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მაესტრო ჯერემიას, ღმერთმა გაანათლოს ამისი სული, სიკვდილის წინ სასმისიდან მტვერი ამოუწმენდია. აი რა უქნია. ხოლო რატომ ქნა, არ ვიცით. არც ის ვიცით, რატომ და როგორ მოკვდა. არ ვიცით, რატომ არის გარჭობილი ამ ოთახის კარში ისარი, არ ვიცით, საიდან გაჩნდა ამდენი სისხლი მაესტროს ტანსაცმელზე, ჭიჭლაზე და სასმისზე, არადა ეს ამისი სისხლი არ არის. ეს სისხლი აქ ვიღაცის მოტანილია თავისი ფეხსაცმლის ძირებით, კიბე-კიბე...

ამის შემდეგ კრისტოფოლიმ ფრთხილად შეხსნა მიცვალებულს ერქეფში, ანუ ცერის ბეჭედი ხელიდან, თავისი სუტანის პატარა ჯიბეში ჩაიდო და ჩექმის წვერით მაესტრო ჯერემიას მარცხენა ტერფი წამოუწია. ძირზე სულ მთლად სისხლი ჰქონდა შემხმარი.

— ღმერთმა აცხონოს ამისი სული უკუნითი უკუნისამდე, — დაასკვნა კრისტოფოლიმ. — მალე, გონდოლიერთან ჩავიდეთ. — ღმერთმა გაანათლოს იმისი სულიც.

ჟანდარმნი მღვდელთან ერთად ჩქარა-ჩქარა დაეშვნენ კიბეებზე.

ყველაფერი რომ მიწყნარდა და გარდაცვლილ სებასტიანთან ერთად გონდოლით მაესტროს ცხედარიც წაიღეს, ზაქარიამ ანა ქვედა სართულის ოთახში ჩაიყვანა, სადაც ის ღამეს ათევდა ხოლმე, და დამშვიდობებისას უთხრა:

— ვიცი, ვინც მოკლა გონდოლიერი და რატომაც მოკლა.

— შენ რა, ფიქრობ, რომ სასმისის გულისთვის მოკლეს? — ზაქარიასდა გასაკვირად იკითხა ანამ. — არ ვიცი... დარწმუნებული არა ვარ. სასმისი ჯერემიას ეკუთვნოდა. მაგან ის სებასტიანისგან იყიდა და ზუსტად იმდენი გადაუხადა, რამდენიც იმან მოსთხოვა, მაგრამ სებასტიანმა მაინც არ მისცა, ჩინჩობა დაუწყო, თანაც ემუქრებოდა, თუ ცოტას კიდევ არ დამიმატებ, ავდგები და სულაც სხვა მუშტარსა ვნახავო. და ამდაგვარად მუდმივად ფულსა სცინცლავდა მაესტროს. ბერიკაცი სასოწარკვეთილი იყო. ის სასმისი იმას რაგინდარა ფულზე მეტად ეძვირფასებოდა. არადა თან ფასს ვერ დასდებდი, თანაც ჩალადაც არა ღირდა.

რაღა ისა და რაღა ჩემი ახალი ქვის ბეჭედი, ჩემი ერქეფშიო, გაიფიქრა ზაქარიამ და თავისთან ოთახში წავიდა.

უკვე კარი შეაღო, რომ ანას ხმა გაიგონა:

— რაც გითხარი, არცრას მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი გამოცანა ის არის, რის გულისთვის და როგორ მოკლეს ჯერემია. აი რაზე გვმართებს ამ საღამოს ფიქრი. თუმცაღა, მგონი, ვიცი, როგორც მოკვდა ჩემი მაესტრო.

ზაქარია ფანჯარასთან მივიდა, რომელიც კარადიდან საოცრებათა არხს გადაჰყურებდა, და წყალს შეავლო თვალი. ამინდი ფუჭდებოდა, ქარი ისევ ახრჩობდა ფრინველთ ზღვაში, და ზაქარია თავისი სამშობლოს ქარებზე ფიქრმა გაიტაცა. ის კი არა, მიმოგონებაში იმ ქარების გემოს გაცოცხლებაც მოახერხა და სამშობლოს თოვლისა და კაეშნის სუნისაც... და მოეჩვენა, რომ გუგუნი გაჰქონდათ ეკლესიის ზარებს, რომელი გუგუნიც იმ დროიდან ახსოვდა, როცა სულ პირველად გაიგონა, უნგრეთში დუნაის ტალღებს ადევნებულმა ქალაქ სენტანდრეის რომ ჩაუარა. წმინდა ხატმწერლის ლუკას ეკლესიის სამრეკლოს ზარებს გუგუნი წამიერადაც არ შეუწყვეტიათ, სანამ ის ბუდიმის გზას მიუყვებოდა ცხენზე ამხედრებული, ის გუგუნი ღრმად ჰქონდა მეხსიერებაში გამჯდარი იმ დღიდან მოყოლებული დღევანდელ საღამომდე... მიმოგონებიდან გამოფხიზლებულმა გაფანტული მზერა ერთ წერტილში მოაქცია. საოცრებათა არხის პირქუშ ტალღებზე, ცხადად ჩანდა ნათელი კვადრატი, რომელიც ქარში მოფარფარე დროშასა ჰგავდა, ნამდვილად კი ქვედა სართულზე მდებარე ანას ოთახის განათებული ფანჯრის ანარეკლი იყო. ზაქარია გაუნძრევლად იდგა და იცქირებოდა. ამ ცქერა-ცქერაში კი პირი სითხით აევსო, მაგრამ ეს ნერწყვი არ ყოფილა, რაღაც მწარე ოფლისნაირი რამ იყო. როცა ქვედა ოთახში შუქი ჩაქრა, მან კალამი აიღო, მელანში ამოაწო და ხელში სანთელმოვარგებული ნელა გავიდა დერეფანში, იქიდან ფეხაკრეფით მაესტროს ოთახში შევიდა, მაგიდაზე გატეხილი სასმისის ნამსხვრევები იპოვა, ასო-ასო შეაერთ-შემოაერთა და გადმოიწერა სასმისის ძირზე დანუსხვილი სასწაულებრივი ლექსი:

**atto'tseuq ehc ero'uqnic ertlo uip rei.**

მერმე ადგა და ის ნამსხვრევები არხში გადაყარა. ცოტა ხანს კიდევ იწრიალა და თავის ოთახში მობრუნებული ლოგინში ისე შეწვა, სანათურის ჩაქრობა დაავიწყდა. უკვე ძილმორეულმა იგრძნო, რომ რაღაცა შეეშალა. ასეთი რამ გონების გახსნა თუ განათება ხშირად ხდება ძილ-ღვიძილში ყოფნისას. და ზაქარია გონს მოეგო, მიხვდა. მაგრამ რისამე შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო. თუკი სასმისისგან რამე დარჩა, ყველაფერი საოცრებათა არხის ძირზე ესვენა. გონდოლიერმა აკი უთხრა, ლექსს ეგრე კი არ უნდა წაკითხვა, სასმისში შიგ რომ იყურებითო, სხვაგვარად უნდაო. მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდოდა? ზაქარია დიდხანს იმტვრევდა თავს და უცებ მოიკრიფა აზრი. ალბათ, ჯერ კიდევ მოახერხებს საქმის სრულად გამოსწორებას, თუმცაღა სასმისი სამუდამოდ დაკარგულია. რაც მთავარია, გადმოიწერა და ხელთა აქვს ის ლექსი, რომლის შესახებაც გონდოლიერმა უთხრა, სხვაგვარად უნდა წაკითხვაო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასმისს გარედან უნდა შეავლოს თვალი. და წამოდგა, ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც სასმისის ძირიდან ლექსი ჰქონდა გადმოწერილი, თავისი ზანზალაკის სახელურში ჩასმულ მიჭვრიტანასთან მიიტანა. სარკე-მიჭვრიტანამ კი ასოები შებრუნებული თანამიმდევრობით დაალაგა, და ახლებურად წაკითხული ლექსი აგრე ჟღერდა:

**ier piu oltre cinqu'ore che quest'otta.**

ახლა თითოეული სიტყვა რაღაცას ნიშნავდა, სუყველა იტალიური იყო, მაგრამ ზაქარიას მაინც ვერ გამოჰქონდა აზრი.



დილით ზაქარიამ შეამჩნია, რომ ბაზმაკში კიდევ ბევრი ზეთი ესხა და ცხადი იყო, რომ სანათი მთელი ღამე არ ენთო. ვიღაცა, ვისაც არაფერი არ ეპარებოდა, რაც მწვანე სახლში ხდებოდა, ჩუმად შესულიყო ზაქარიასთან ოთახში და დროზე ჩაექრო პატრუქი.

### 4. ეშმაკის კრიმანჭული

— **იცით** თუ არა, ძვირფასო კირ საქარიას, რამდენგვარი მწერალია ამქვეყნად? არ იცით? რა თქმა უნდა, არ გეცოდინებათ, რადგან თავადაც მწერალი ბრძანდებით. **Poli kalo!**[1] მაგრამ მე, დიდება უფალსა ცათა შინა და წმინდა ქრიზოსტომ ოქროპირსა, არა ვარ მწერალი, გამომცემელი ვარ, და ვიცი. არც შეიძლება, რომ არ ვიცოდე. რამდენგვარია, და ორგვარი. გესმით ჩემი? მხოლოდ ორგვარი. ერთნი გრძნობენ მკითხველის გემოვნებას და აამებენ კიდეც, თან არცა ზრუნავენ, წიგნი როგორი გამოუვათ. მეორენი ქვეყნიერებისა და მწერლობის შეცვლას ეპირებიან და სულაც არ ეფიქრებათ არც მკითხველის გემოვნება და არც თავიანთი გამომცემლის სარგებელი. აი ჩვენი ძვირფასი უფალი კონსული იულინაცი კი ეგეთი არ არის, სხვა ჯიშისაა. იმას რუსეთის საიმპერატორო კარი აღმერთებს, მაგრამ ამიტომ ვენის ცენზურა არა სწყალობს, ჩემო ძვირფასო ბატონო. მერედა, იცით ეს რასა ნიშნავს. არ იცით? ეს იმას ნიშნავს, რომ ნება არ დაგვრთეს და ვერ გამოვცემთ იმის ძნელსახელწოდებიან წიგნს, რომელშიც აღწერილია სერბიის ცხოვრება. ვენის ცენზურამ უარი თქვა იულინაცის წიგნის დაბეჭდვაზე და მთელი საავტორო თაბახის შეცვლა მოითხოვა, და თქვენ, როგორც ამ წიგნის კორექტორმა, ბუნებრივია, იცით, რომელი გვერდები, რატომ და როგორ უნდა შეიცვალოს აზრთაყლაპია ცენზორის შენიშვნების საფუძველზე. და კარგად გესმით, რაც მოსალოდნელია, თუკი ურჩობას გამოვიჩენთ. ტყუილია, ამ წიგნს ველარ მივყიდით ავსტრიის ბაზარზე ჩვენს თვისტომთ, იმპერიაში მცხოვრებ სერბთ. არადა, თუ აგრე მოხდა, სხვა ვინ იყიდის? არავინ. თქმა არ უნდა, რომ ვიზარალებთ და ვერ ამოვიგებთ გამოცემაში ჩადებულ ფულს. ესე იგი ჩემს ფულს. ამიტომ, ძვირფასო კირ საქარიას, ამოიღეთ იულინაცის წიგნიდან შესაბამისი გვერდები და გადააკეთეთ! ოღონდ ისე, რომ კმაყოფილნი დარჩნენ ცენზორიც ვენაში, რუსი მაიორი იულინაციც ნეაპოლში, და, რაც მთავარია, თქვენებურნი, ჩვენი მკითხველნი და, მაშასადამე, ჩვენი მყიდველნი!

[1] ჩინებულია (ბერძ.)

გადმოაენა
**ზურაბ გოგიაშვილმა**
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 100-107.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**




# აფხაზეთი - „დოლჩე

**ვერ მოასწრო აფხაზეთმა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის ომში თითქმის განადგურდა, გამოყოფოდა საქართველოს, რომ აღმოჩნდა რუსეთიდან ჩამოსახლებულთა დამოკიდებულებაში, რომლებიც მასში ხედავენ ახალ ელდორადოს.**

ჰორიზონტამდეა გადაჭიმული ვენახები: კაბერნე, მერლო, პინო, მალბეკი, სირა. ვაზები ჩარგულია თანაბარ რიგებად, თითოეულ მათგანს მიკრული აქვს იარლიყი. ნამდვილი მუზეუმია სუფთა ჰაერზე. ფრონტის ხაზი კი გადის სულ რამდენიმე კილომეტრში აქედან, დღე არ გავა, რომ არ გავრცელდეს ინფორმაცია ან ქართული უპილოტო თვითმფრინავების შესახებ, რომლებიც ჩამოგდებულია ან აფხაზების ან რუსების მიერ, ან სხვა რამეზე... მაგრამ მცხუნვარე აფხაზური მზის ქვეშ ვენახებსა და მანდარინის ბაღებს შორის გეჩვენება, რომ იმყოფები პატარა ტროპიკულ სამოთხეში. კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ახალ ელდორადოში, რუსო ინვესტორებო.

„შეხედეთ, ჩვენ აქ დავრგეთ პტი-მანსენგი, იქით კი — გრენაში. თქვენ გსმენიათ გრენაშის შესახებ?" — საიდ აშბა, 27 წლის ენოლოგი სოხუმის ღვინის ქარხნიდან, გვიჩვენებს თავის ნარგავებს, თითქოს აწარმოებდეს ჯარების დათვალიერებას. — ჩვენთან ყურძნის 49 ჯიშია, ასეთ კოლექციას ვერსად ვერ ნახავ მსოფლიოში, — აღტაცებით ამბობს იგი. — ჩვენ ვატარებთ ექსპერიმენტს, თვალყურს ვადევნებთ, თუ რომელი მცენარეები უფრო კარგად ხარობენ აქ. გვაქვს ვაზები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან... აქ თავმოყრილია მთელი ევროპა!".

სამი წლის წინათ ამ სანიმუშო ვენახის ადგილას სიცარიელე იყო. აქ 1992 წელს მიმდინარეობდა ომი, სისხლისმღვრელი ომების შედეგად ქართველები განდევნილი იქნენ ამ რეგიონიდან. პატარა, ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებელი" აფხაზეთი, 10 წლის განმავლობაში იყო ნანგრევებსა და საერთაშორისო ემბარგოს ქვეშ.

მთელი მსოფლიოსათვის ეს ქვეყანა არ არსებობს. არც გაერომ, არც რომელიმე სხვა ქვეყანამ, თვით რუსეთმაც კი, არ აღიარა იგი. აფხაზეთი თავისი ფართობით უტოლდება საფრანგეთის დეპარტამენტს, დღემდე ითვლება საქართველოს ოლქად და, საერთაშორისო სამართლის საპირისპიროდ, აცხადებს თავს დამოუკიდებლად. მაგრამ დრო გადის. აფხაზები დე ფაქტო უკვე 15 წელია ცხოვრობენ საქართველოსგან დამოუკიდებლად, ამაში მათ ეხმარებათ რუსეთი. იგი ამარაგებს მათ, ყიდულობს მანდარინსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს აძლევს პასპორტებს, რომლებიც მათ აძლევს გადაადგილების საშუალებას. აფხაზები ამტკიცებენ, რომ შექმნეს ახალი სახელმწიფო ყველა შესაბამისი ატრიბუტით: კონსტიტუციით, ჰიმნით, პრეზიდენტით, პარლამენტით. ისინი მიიჩნევენ მას კავკასიაში დემოკრატიის ნიმუშად.

ქვეყანა იწყებს ნანგრევებიდან აღდგენას, განსაკუთრებით ეს გახდა შესამჩნევი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, უკანასკნელი თვეების განმავლობაში კი აღდგენითი სამუშაოების ტემპები დაჩქარდა. სოხუმის სანაპიროზე ასუფთავებენ ნანგრევებს და ხან აქ, ხან იქ ჩნდება კაფეები, დისკოტეკები, ბოულინგები, რესტორნები... ქალაქის ცენტრში ადგილობრივმა „ოლიგარქმა", რომელმაც ქონება დააგროვა მოსკოვში, სასტუმრო „რიწა" გადააქცია კომფორტულ სასახლედ. დაიწყეს დაბრუნება ტურისტებმა, უმთავრესად რუსებმა — მათ აქ იზიდავთ პლაჟები და შესანიშნავი ბუნება. ეს ეკონომიკური აღორძინება — ერთ-ერთი მიზეზია დღევანდელი დაძაბულობისა: საქართველოს, რომელსაც ჯერ ისევ სჯერა, რომ დაბრუნდება თავის დაკარგულ პროვინციაში, არ სურს შეურიგდეს მის აყვავებას რუსეთის მფარველობის ქვეშ.

„მოგვეცით ჩვენ 10, შეიძლება, 15 წელი და ჩვენ ვაწარმოებთ ისეთ ღვინოებს, რომლებიც ფრანგულს არ ჩამოუვარდება!" სოხუმის ღვინის ქარხანაში საიდი გვიმასპინძლდება თეთრი შუშხუნა-ტკბილი ღვინით, როგორც ეს რუსებს უყვართ, ან წითელი ღვინით მოტკბო ტანინით. 2000 წელს ინვესტორებმა რუსეთიდან დაიწყეს დანგრეული საბჭოთა კომბინატის აღდგენა. იტალიაში შეისყიდეს ღვინის ჩამოსხმის ორი თანამედროვე ხაზი, გააშენეს 200 ჰექტარი ვენახი, ფიქრობენ მის გაფართოებას ათას ჰექტარამდე. ღვინო ძირითადად გათვალისწინებულია რუსეთის ბაზრისათვის.

კავკასიიდან გაგდებული, ჩეჩნეთიდან წასული, ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში დატერორებული რუსები აფხაზეთში პოულობენ ახალ თავშესაფარს. სულ უფრო და უფრო მეტია მათი რაოდენობა, ვისაც სურს მოძებნოს ბედნიერება ამ პატარა ანკლავში, რეგიონის უკანასკნელ კუთხეში, სადაც ისინი თავს სასურველ სტუმრად გრძნობენ. 38 წლის ოლეგ იურჩენკო — ერთ-ერთი ახალი ინვესტორი, ახალგაზრდა ბიზნესმენია. როდესაც უყურებ მის სათვალეებს ვიწრო ჩარჩოში და დახვეულ თმებს, შეგიძლია მიიჩნიო ფიზიკის მასწავლებლად. „მე გავიგე, რომ უძრავი ქონება აქ იაფია, გვიამბობს იგი პატარა შენობაში, რომელიც მისთვის წარმოადგენს ოფისსა და უძრავი ქონების სააგენტოს. ოლეგი ტულიდანაა, რომელიც მოსკოვიდან სამხრეთით 200 კილომეტრზეა, მან დააგროვა ქონება გაყინული პროდუქტების ვაჭრობის გზით, შემდეგ გადმოსახლდა აფხაზეთში, სადაც არის ფრთების გაშლის საშუალება. მან იყიდა დანგრეული ოლიმპიური აუზი სოხუმში, რომელიც გადაიქცა აყროლებულ, ბაყაყებით სავსე გუბედ, და დაიწყო იქ კაფეს მშენებლობა ფსევდო-რომაულ სტილში, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი პუბლიკის



---

**თბილისი მზად არის მოახდინოს ოფიციალური კიევის მოქმედების დუბლირება იური ლუჟკოვთან დაკავშირებით. ეს ნაბიჯი შეიძლება გახდეს კიევისა და თბილისის ერთობლივი გლობალური კოორდინირების წინამორბედი „რუსეთის მიმართულებით".**

გამოსასვლელ დღეებში ცნობილი გახდა, რომ იური ლუჟკოვი შეიძლება გახდეს პერსონა ნონ-გრატა საქართველოშიც. ასეთი რეაქცია გახდა მოსკოვის მერის განცხადების შედეგი ამ სახელმწიფოს მთლიანობასთან დაკავშირებით.

თუ თბილისი მართლაც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ოფიციალური კიევის მოქმედების ასეთი დუბლირება უფრო მეტად განამტკიცებს უკრაინა-საქართველოს არაფორმალურ კავშირს. და საქმე აქ მარტო ლუჟკოვს როდი შეეხება. ცნობილია, რომ ასეთი დონის პოლიტიკოსის განცხადება არ შეიძლება დარჩეს უყურადღებოდ ხელისუფლების ცვლილების არსებობის პერიოდში და იმ ქვეყანაში, რომელიც თავის თავს პატივს სცემს. ლუჟკოვი — ეს არის ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი, ფიგურა, რომელმაც თავისი საქმე უკვე გააკეთა, მაგრამ წარმოაჩენს კრემლის საგარეო პოლიტიკას. და კიევისა და თბილისის პოზიციების ერთგვაროვნობა ლუჟკოვის გამონათქვამებთან დაკავშირებით — ეს არა მხოლოდ ბუნებრივი რეაქციაა, არამედ უკრაინის, საქართველოს და რუსეთის ურთიერთობის დონის მაჩვენებელიც.

ჟირინოვსკის მსგავსად, ლუჟკოვს შეუძლია მისცეს თავს იმის ნება, რაზეც დუმილს ამჯობინებს მედვედევი ან პუტინი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა არ იზიარებს ასეთ პოზიციას. უფრო პირიქით — ეს ყველაფერი ხდება კრემლის მდუმარე მხარდაჭერითა და წაქეზებით. უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტები აღმოჩნდნენ თავისებურ განყენებულ პიროვნებებად დსთ-ს ამასწინანდელ არაფორმალურ სამიტზე. იუშჩენკოსთანაც და სააკაშვილთანაც მოეწყო მოკლე შეხვედრები და არავითარი სერიოზული

# უკან დახევა შეუძლებელია, უკან მოსკოვია

განცხადება ამ მოლაპარაკებების შესახებ არ გავრცელებულა. როგორც მახვილგონივრულად შენიშნეს ბელორუსმა კოლეგებმა, შეხვედრა იყო „გაცნობით-აღმზრდელობითი ხასიათისა".

რუსეთის მხარის განსაკუთრებული ყურადღება ძირითადად მიპყრობილი იყო აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ლიდერებისადმი — იმ ქვეყნების ლიდერებისადმი, რომლებსაც აქვთ ენერგოშემცველები. აქ დიმიტრი მედვედევმა სრულად წარმოაჩინა თავისი ქებული ეკონომიკური პრაგმატიზმი. კიევისა და თბილისის წილად კი დარჩა მხოლოდ ერთი პოლიტიკა. როგორც არ უნდა ცდილობდეს უკრაინა, ნაწილობრივ კი საქართველოც, ილაპარაკონ მოსკოვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პირობებზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ვექტორებზე — კრემლი თავისას აკეთებს. ეკონომიკიდან მშრალ ნარჩენებად დარჩა მხოლოდ გაზის თემა — მას კიდევ მრავალჯერ გამოიყენებენ პოლიტიკური მიზნებისათვის.

ასეთი ტაქტიკა იქნება წამყვანი რუსეთის გეოპოლიტიკურ ვექტორში მომავალშიც. მთელი რიგი მწვავე პოლიტიკური საკითხების გამო რუსეთმა დაიკავა „პრინციპული" პოზიცია და არ შეცვლის მას უბრალო მიზეზის გამო: კრემლისთვის ხელსაყრელია ზეწოლა, და არა მოლაპარაკებები. ამისათვის რუსეთის ხელმძღვანელობას აქვს ყველა საშუალება.

ამასთან დაკავშირებით „ლუჟკოვის საკითხის" ერთი თვალსაზრისი შეიძლება გახდეს თბილისისა და კიევის ერთობლივი მოქმედების უფრო გლობალური კოორდინირების საფუძველი რუსეთის მიმართულებით. რუსეთთან მეტად ცივი დამოკიდებულების პირობებში უკრაინასა და საქართველოს სხვა აღარაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ შექმნან უფრო მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ალიანსი. ამიტომ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით ერთობლივი პოზიცია, მხარეთა ყველა გონივრული წამოწყების უფრო აქტიური გეოპოლიტიკური მხარდაჭერა შეიძლება აღმოჩნდეს საუკეთესო საშუალებად. მკითხველს უფლება აქვს შეგვედავოს: აი, რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკულ მანქანას ვერაფერს უზამ. რას იზამ, ამ თეზისს მართლაც ვერ შეედავები. მაგრამ არც უკრაინას, არც საქართველოს, როგორც ჩანს, აღარაფერი აქვთ დასაკარგი. პრაქტიკულად ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გაუარესებულიყო, უკვე გაუარესდა. და კრემლიც სულაც არ აპირებს რაიმე დათმობაზე წასვლას. და თუ არსებობს რაიმე ზომები პოზიციის შესამსუბუქებლად, მათ უნდა მოვეპყრათ უკიდურესად ფრთხილად.

იმის იმედი, რომ უკრაინაში ხელისუფლების შეცვლასთან ერთად შეიცვლება მოსკოვის პოზიციაც, ასევე არაშორსმჭვრეტელურია. ჯერ ერთი, სახელისუფლო ელიტა შეიცვლება არც ისე მალე. მეორეც, რუსეთისათვის სულ ერთია ვისზე დაიწყოს ზემოქმედება — იუშჩენკო იქნება იგი, იანუკოვიჩი თუ ტიმოშენკო. გეოპოლიტიკური მიზნების სტრატეგიული სია, ალბათ, არც შეიცვლება. სხვაობა ის არის მხოლოდ, რომ ზემოქმედება ცალკეულ პოლიტიკოსებზე უკვე გახდა პრინციპის საქმე და ამიტომ არის, რომ ეს პროცესიც უფრო თვალში საცემია.

უკრაინისათვის აუცილებელია გაააქტიუროს პოზიცია მეზობელი ქვეყნების პატარა გეოპოლიტიკურ მონაკვეთზე. საკმარისია, ვილაპარაკოთ მკვდარი სუამის პერსპექტივებზე. მასში დარჩა „შენ, მე და ჩვენ ორივენი" — კიევი და თბილისი. მოლდოვის ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად დაიკავა საბოლოოდ პრორუსული პოზიცია. ახლა უკვე აღარ შეიძლება იმის დაშვება, რომ რუსეთმა „წაიყვანოს" უკრაინაში ენერგოშემცველების ერთადერთი რეალური პოტენციური მიმწოდებელი — აზერბაიჯანი. დაბოლოს, საჭიროა, უფრო კონკრეტულად „მოელაპარაკოს" ყაზახეთს. მაგრამ არის კიდევ ბელარუსიც, სადაც ლუკაშენკო კვლავ, უკვე მერამდენედ, აღმოჩნდა მოსკოვის ყურადღების მიღმა და დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე გამოიყურებოდა „მდუმარე მოჩვენებად".

რასაკვირველია, ზეგავლენის ადგილობრივი გეოპოლიტიკური ცენტრის შექმნა — სადავო კონცეპტია, მაგრამ უკრაინის ხელმძღვანელობას პრაქტიკულად არ გააჩნია სხვა ვარიანტები. უკან დახევა შეუძლებელია, უკან მოსკოვია.

**ანდრეი სიჩკარი**

proUA.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვიტა“ დენთის კასრზე

გემოვნებას. თუ საწარმო აღმოჩნდება მომგებიანი, იგი გეგმავს აღადგინოს აუზი, შემდეგ გახსნას სასტუმროც...

სარისკო გადაწყვეტილებაა, ვინაიდან საქართველოს შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეეცადოს მის დაბრუნებას ძალით ამ პროვინციაში და განდევნოს რუსი „უზურპატორები“ ჯანდაბას იქით. საერთოდ, ცხოვრება საშიშია, — გვეუბნება ფატალისტი ოლეგი. — ეკონომიკაში კი რაც მეტია რისკი, მით მეტია შემოსავალი“. თანაც მისი პროექტი ხდება უფრო იოლად შესასყიდი, ვიდრე რუსეთში, მაქსიმუმ ორი წლის შემდეგ. „ერთი წლის განმავლობაში უძრავი ქონების ფასი გაიზარდა 300 პროცენტით, — უხარია ინვესტორს. — ხოლო როდესაც აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მაშინ ეს ფასები ზეცამდე ავარდება“. მაგრამ როგორღაა საკითხის ზნეობრივი მხარე? სწორია განა ინვესტიციების ჩადება „უკანონო სახელმწიფოში“? „ზნეობრივი თვალსაზრისით მე აფხაზეთის მხარეზე ვარ, — წყნარად გვიპასუხებს იგი. — საერთაშორისო თანამეგობრობამ რესპუბლიკა არ აღიარა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ამას გარდა, განა აფხაზებმა დაიწყეს ომი და დაესხნენ საქართველოს?“

29 წლის მარია პარამონოვა, ჩაისა და ყავის პატარა მაღაზიის მფლობელი, გვიამბობს თავის ჩამოსვლის შესახებ აფხაზეთში, როგორც სრულიად ბუნებრივ ამბავზე. „ჩვენ ვეძებდით ადგილს ზღვისპირას, სადაც უძრავი ქონების ფასი ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა“. მოსკოვში მას და მის მეუღლეს ჰქონდათ პატარა მაღაზია, მაგრამ ცოლ-ქმარი ოცნებობდა უფრო სასიამოვნო ადგილზე. მეგობრებმა უამბეს მათ აფხაზეთის შესახებ, ისინი ჩამოვიდნენ, რათა დაეთვალიერებინათ აქაურობა და უმალვე მოიხიბლნენ ამ ადგილით. მარიამ და მისმა მეუღლემ იყიდეს სოხუმში სახლი 10 ათას დოლარად. „მოსკოვში ამდენი ღირს პატარა კუთხე“, — აღნიშნავს მარია. მისი ღირებულება ერთ წელიწადში გაიზარდა ხუთჯერ. მათ იყიდეს აგრეთვე დანგრეული სახლი, აღადგინეს იგი და მოაწყვეს იქ პატარა სასტუმრო. ეს შენობა იყო ერთ-ერთი მათგანი, რომლებსაც აქ უწოდებენ სამხედრო „ნადავლს“. იგი ეკუთვნოდა ქართველებს, რომლებიც გაიქცნენ სოხუმიდან 1992 წელს.

„დასაწყისში აქ არავის არ უნდოდა ამ ნადავლის ყიდვა, ეშინოდათ, რომ დაბრუნდებოდნენ ქართველები და წაართმევდნენ მათ, — გვიამბობს მარია. — ამ დროს აფხაზეთის სახელმწიფომ მოახდინა ამ ქონების ნაციონალიზაცია და დაიწყო მისი გაყიდვა“. მას არ აშინებს იმის შესაძლებლობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქართველები მოითხოვენ მის დაბრუნებას. „თუ ქართველები მოვლენ აქ, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი დღე არ ელით, — განსჯის იგი. — ეს იქნება ახალი ომი. მაგრამ თუ მხოლოდ რისკებზე ვიფიქრებთ, მაშინ უნდა ვიჯდეთ გულხელდაკრეფილი. როგორც ჩვენში, რუსეთში ამბობენ: ვინც რისკს არ ეწევა, ის არც სვამს შამპანურს“. იგი ლაპარაკობს აგრეთვე, რომ მას სინდისის ქენჯნა არ აწუხებს.

„გავიდა უკვე 15 წელი მას შემდეგ, რაც ქართველებმა დატოვეს ეს მხარე, — აღნიშნავს იგი. — და არ მესმის, როგორ უნდა დაბრუნდნენ ისინი აქ“.

პატარა მეწარმეებისათვის, ისეთებისა, როგორიც მარიაა, პირობები აფხაზეთში უკეთესია, ვიდრე მოსკოვში. „რასაკვირველია, აქაც არის ბიუროკრატია და კორუფცია, — ამბობს მარია, — მაგრამ ისეთი არა, როგორც რუსეთში!“

სოხუმის სამხედრო აკადემიაში აფხაზეთის პატარა არმიის ოფიცრებს ასწავლის რუსი პოლკოვნიკი. სერგეი პუსტოვალოვი განთავისუფლდა რუსეთის არმიისგან და იგი მეუღლესთან ერთად ეძებდა რომელიღაც თბილ კურორტს, სადაც შეიძლებოდა სახლის ყიდვა. „მე ჩამოვედი აფხაზეთში დასასვენებლად, — გვიამბობს ახალგაზრდა პოლკოვნიკი. — სამხედრო კადრები აქ არ ჰყოფნით, და მე არ შემეძლო, არ დავხმარებოდი რესპუბლიკას. აფხაზეთი ჩემთვის, როგორც მეორე სამშობლოა“. პოლკოვნიკი პუსტოვალოვი სიამაყით გვიჩვენებს პატარა ყაზარმას, ყოფილ სანატორიუმს, სადაც რამდენიმე კურსანტი იმაგრებს კუნთებს. „ახალგაზრდა აფხაზებთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა, — ამბობს პოლკოვნიკი. — მათთვის სამშობლოს დაცვა ცარიელი სიტყვები როდია. მათი მოტივაცია და დისციპლინა აქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე რუსეთის არმიაში“.

სოხუმის „საპრეზიდენტო სასახლეში, რომელიც აგებულია 1930-იან წლებში და სადაც თავის დროზე განთავსებული იყო ადგილობრივი კომპარტიის საოლქო კომიტეტი, „აფხაზეთის სახელმწიფოს მეთაური“ ცდილობს კოხტად მოეწყოს ორ სკამზე: „ჩვენ მადლობელი ვართ რუსეთისა ყველაფრისათვის, რაც მან ჩვენთვის გააკეთა, — ამბობს სერგეი ბაღაფში. — მაგრამ ჩვენ არ შევალთ რუსეთის შემადგენლობაში. ჩვენ მართლაც გვსურს ავაგოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, მაგრამ არანაკლებ ამაყი, ვიდრე ჩინელები, რომლებიც მილიარდზე მეტი არიან!“ აფხაზებს გული სტკივათ, რომ მას მხარს არ უჭერენ სხვა ქვეყნები, გარდა დიდი რუსი მეზობლისა.

**ლორენ მიიო**

Liberation.fr



# განჩინება

## სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

### საქართველოს სახელით

11 ივნისი 2008 წ. ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვანო წიკლაურმა ერთპიროვნულად განიხილა აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ დავით მღებრიშვილის განცხადების გამო სამოქალაქო საქმის განხილვისათვის სასამართლო სხდომის შესახებ საჯარო შეტყობინების საკითხი.**

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია განმცხადებელი დავით მღებრიშვილის განცხადების გამო სამოქალაქო საქმეთა აქციონერთა (24 აქციონერიძ მიმართ, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ.

მოცემულ სამოქალაქო საქმეზე 2008 წლის 10 ივნისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე აქციონერთა უმრავლესობა არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის მიზეზი შეიქმნა ის გარემოება, რომ აქციონერთა დიდ ნაწილს, როგორც სასამართლო უწყებაზე გაკეთებული შეტყობინებიდან ირკვევა, შეცვლილი აქვს საცხოვრებელი ადგილი.

მოცემული კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამარტივებულ წარმოებას. ამასთან, მათი განხილვა უნდა მოხდეს შემჭიდროვებულ ვადებში (სსსკ-ის 309[13]ძ, კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოების აქციონერთა მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო ვერ ხერხდება სასამართლო უწყებისა და გზავნილის ჩაბარება აქციონერებისავთის, რაც აფერხებს მოცემული საქმის განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლოს უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

იმ პირობებში, როდესაც აქციონერთა (24 აქციონერიძ საცხ. ადგილუმრავლეს შემთხვევაში შეცვლილია, ასევე საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის წარმოებისა და სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ აქციონერებს აცნობოს საჯარო შეტყობინებით.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, მე-8, 78-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განმცხადებელ დავით მღებრიშვილის განცხადების გამო სამოქალაქო საქმე აქციონერთა: ლარისა შონიას, შოთა იამანიძის, ვაჟა ნადირაშვილის, ზოია ნემსიწვერიძის, ჯემალი ვეფხვაძის, ტატიანა ადერიხინას, ლიდა პავტუტას, ვალენტინა სკოგორევას, თ. სიხარულიძის, მაგული კაპანაძის, ბორისი მარქაროვის, ირმა გევორქოვას, ლალი დუდაშვილის, ნარგიზი ტუნტურიშვილის, ციალა გიორგაძის, მარინა ნონიაშვილის, ეთერ სარიევას, მერი მაშოვას, იგორი კაიშანოვის, ლუიზა საბეკიას, ბორია ვეშაგურის, ქეთევან ვეშაგურის, ნაზი საპაშვილის მიმართ დავით მღებრიშვილის აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე დანიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომა 2008 წლის 20 ივნისს 10 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი №23 (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6ძ.
2. განემარტოთ ზემოთ დასახელებულ აქციონერებს, რომ სასამართლო უწყება აქციონერებისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.
3. განჩინების გამოქვეყნება საკუთარი ხარჯებით დაევალოს განმცხადებელს დავით მღებრიშვილს.
4. განჩინება გამოიკრას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განცხადების დაფაზე.
5. სასამართლო უწყება აქციონერებისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე ვ. წიკლაური**

დედამიწის ზურგზე

**ჩეხეთის** საგარეო საქმეთა მინისტრი კარელ შვარცენბერგი იმუქრება, რომ გადადგება, თუ პარლამენტი ხელს მოაწერს შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარის განთავსების შესახებ ჩეხეთის ტერიტორიაზე. მისი აზრით, ხელშეკრულებას ხელი მოეწერება პრაღაში ივლისის დასაწყისში. მაგრამ, ალბათ, პარლამენტი არ განიხილავს ამ საკითხს საშუალედო არჩევნებამდე ოქტომბერში.

* * *

**უკრაინაში** კატასტროფა განიცადა სამგზავრო ავტობუსმა, რომელიც მოსკოვში მიდიოდა. დაიღუპა 4 ადამიანი, დაშავდა 18, 11 მათგანი ჰოსპიტალიზებულია. სალონში იმყოფებოდა 30-ზე მეტი კაცი, უმეტესობა მოლდავეთის მოქალაქეა. დაღუპულებიც, როგორც ვარაუდობენ, მოლდაველები უნდა იყვნენ. წინასწარი მონაცემებით, ავტობუსის მძღოლს ჩაეძინა საჭესთან.

* * *



**მსოფლიოში** ხდება 165 მილიონი პატარა ბავშვის ექსპლოატაცია. პლანეტის არასრულწლოვანთა 7 ერთეულიდან ერთი ეწევა რაიმე საქმიანობას. მომუშავე ბავშვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში და აფრიკის ქვეყნებში სახარის სამხრეთით. აფრიკაში კი ბავშვების სიკვდილიანობისა და ტრავმატოლოგიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სამუშაო ადგილებზე.

* * *



**ტორნადომ** დააზიანა ბოისკაუტების ბანაკი აიოვაში: მინიმუმ დაიღუპა 4 და დაზარალდა 40 ადამიანი. სტიქია თავს დაატყდა ბანაკს დაახლოებით შვიდის ნახევარზე. იმ დროისათვის ბანაკში იმყოფებოდა 93 ბავშვი და 25 მოზარდი. ოპერატიული სამსახურის მონაცემებით, შეიძლება დაჭრილი იყოს კიდევ 20 დამსვენებელი. დაზარებულები გადაყვანილი არიან 5 ადგილობრივ საავადმყოფოში.

* * *

**ბრიტანელმა** ჩინოვნიკმა ელექტრომატარებელში შემთხვევით დატოვა საიდუმლო დოკუმენტები ერაყისა და ალ-ქაიდას შესახებ. ეს დოკუმენტები აღმოაჩინა ერთ-ერთმა მგზავრმა და გადასცა ჟურნალისტებს. სკოტლანდიარმა დაიწყო საიდუმლო ინფორმაციის გადენის ფართომასშტაბიანი გამოკვლევა.

* * *

**თურქმა** ტერორისტმა ალი აღჯამ შეიტანა საბუთები პოლონეთის მოქალაქეობის მიღებაზე. იგი ცნობილია იმით, რომ თავს დაესხა რომის პაპს იოანე პავლე მეორეს. მას სურს, რომ იგი დარჩენილი ვადის მოსახდელად გადაიყვანონ პოლონეთის ციხეში.

# განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სტრუქტურაში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 1 460 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია, ისტორია, სახელმწიფოს მართვა);
ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 3 წელი შესაბამის სფეროში;
გ) სტრატეგიული და თავდაცვის დაგეგმვის ძირითადი პრინციპების ცოდნა;
დ) ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, სამხედრო-პოლიტიკური სფეროს ცოდნა პროფესიონალურ დონეზე (შეფასების, ანალიზის, გადმოცემის და ა.შ. უნარი);
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება;
ე.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
ე.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება.
ვ) სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;
ზ) ინგლისური ენის ცოდნა;
თ) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 1340 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია, ისტორია, სახელმწიფოს მართვა, ფინანსები და ეკონომიკა);
ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 2 წელი შესაბამის სფეროში;
გ) სტრატეგიული და თავდაცვის დაგეგმვის ძირითადი პრინციპების ცოდნა;
დ) ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, სამხედრო-პოლიტიკური სფეროს ცოდნა პროფესიონალურ დონეზე;
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება;
ე.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
ე.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება.
ვ) ინგლისური ენის ცოდნა;
ზ) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 980 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია, საერთაშორისო სამართალი, ისტორია, სახელმწიფოს მართვა, ფინანსები და ეკონომიკა);
ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წელი შესაბამის სფეროში;
გ) სტრატეგიული და თავდაცვის დაგეგმვის ძირითადი პრინციპების ცოდნა;
დ) ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, სამხედრო-პოლიტიკური სფეროს ცოდნა;
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონები;
ე.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება“;
ე.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
ე.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება;
ვ) ანალიტიკურ დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
ზ) ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება;
თ) ინგლისური ენის ცოდნა;
ი) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 920 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია, საერთაშორისო სამართალი, ისტორია, სახელმწიფოს მართვა, ფინანსები და ეკონომიკა);
ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 6 თვე შესაბამის სფეროში;
გ) სტრატეგიული და თავდაცვის დაგეგმვის ზოგადი პრინციპების ცოდნა;
დ) სამხედრო-პოლიტიკური სფეროს ცოდნა;
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება;
ე.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
ე.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება.
ვ) ანალიტიკურ დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
ზ) ინგლისური ენის ცოდნა;
თ) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოადგილე** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 1340 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (ეკონომიკა, სამართალი, პოლიტოლოგია, სახელმწიფოს მართვა, საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიები);
ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 2 წელი შესაბამის სფეროში;
გ) სამხედრო-ფინანსური სფეროს ცოდნა პროფესიონალურ დონეზე (თავდაცვის დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება);
დ) თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა (შეფასების, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების უნარი და ა.შ.);
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება;
ე.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
ე.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება.
ვ) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა;
ზ) ხელმძღვანელ რგოლებთან მუშაობის გამოცდილება.

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 980 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (ეკონომიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სამართალი, პოლიტოლოგია, სახელმწიფოს მართვა);
ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 2 წელი შესაბამის სფეროში;
გ) რესურსების მართვის სისტემის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა;
დ) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
დ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
დ.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება;
დ.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
დ.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება;
ე) დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
ვ) ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება;
ზ) ინგლისური ენის ცოდნა;
თ) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 920 ლარი)

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (ეკონომიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სამართალი, პოლიტოლოგია, სახელმწიფოს მართვა);
ბ) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ბ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ.ბ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ.გ) „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება;
ბ.ე) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ივნისის № 195 ბრძანება;
ბ.ვ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს № 462 ბრძანებულება.
გ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 6 თვე შესაბამის სფეროში;

დ) დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
ე) ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება;
ვ) ინგლისური ენის ცოდნა;
ზ) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 1640 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (პრიორიტეტულია საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები, იურიდიული სახელმწიფო მართვა, პოლიტოლოგიური ან ისტორიული);
ბ) სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 4 წლის სტაჟი;
გ) ინგლისური ენის ცოდნა (უპირატესობად ჩაითვლება დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა);
დ) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
დ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
დ.ბ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონი;
დ.გ) „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.დ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
დ.ვ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ" საქართველოს კანონი.
დ.ზ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება;
ე) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 980 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (პრიორიტეტულია საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგიური, დას. ევროპული, იურიდიული ან ისტორიული);
ბ) სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი;
გ) ინგლისური ენის ცოდნა (უპირატესობად ჩაითვლება დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა);
დ) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
დ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
დ.ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
დ.გ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.
ე) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 980 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**:
**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (პრიორიტეტულია საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები, იურიდიული, დას. ევროპული, პოლიტოლოგიური ან ისტორიული);
ბ) სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი;
გ) ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);
დ) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
დ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
დ.ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
დ.გ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.
ე) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს უფროსი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 1460 ლარი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**:
**საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**
ა) უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები ან იურიდიული);
ბ) სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი;
გ) ინგლისური ენის ცოდნა (უპირატესობად ჩაითვლება დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა);
დ) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
დ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
დ.ბ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.გ) „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.დ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
დ.ვ) „საქართველოს თავდაცვის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ.ზ) „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" ვენის 1969 წლის კონვენცია",
დ.თ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.
ე) კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**კონკურსის პირობები:**
**კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის. კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას. მისაღები კანდიდატის ასაკი განისაზღვრება 21-დან 65 წლამდე.**

**კონკურსს ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.**
**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**
**1. ავტობიოგრაფია;**
**2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის დედანი და ასლი;**
**3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**
**4. ორი ცალი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3/4);**
**5. უკვე გაცემული შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი.**
**საბუთების მიღება იწარმოებს კონკურსის შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10.[00] საათიდან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).**
**საბუთების მიღება წარმოებს 2008 წლის 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).**
**კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.**
**კონკურსი ჩატარდება გასაუბრების ფორმით.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე:**
**0112 ქ. თბილისი უზნაძის ქ. 117[ა] ტელ: 95-09-53.**
**აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mod.gov.ge.**

***საჯარო სამსახურის ბიურო***

**ფიქრები**

# „ვინც არა ჰყავს კაკაბერას"...

**(მერვე გვერდიდან)**

დღეს ძალზედ ბევრს ლაპარაკობენ ნარკომანიაზე, მის დამღუპველ შედეგებზე, იღებენ სადამსჯელო კანონებს. თავად მავანის დამოკიდებულება კი ამ სენისადმი არ იცვლება. იგი ასეთია: საკუთარი ჯანმრთელობის პატრონი თავად მე ვარ და როგორც მინდა, ისე მოვიქცევიო...

აი სწორედ, ამ რთულ ფსიქოლოგიურ ფონზე, გაისმა უწმინდესისა და უნეტარესის ძალზე უბრალო, მაგრამ ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება „ნარკომანია სირცხვილია!" გეთანხმებით, საკუთარი თავი თქვენ გეკუთვნით, უფლება გაქვთ, როგორც გინდათ ისე მოექცეთ მას, მაგრამ არის უფრო მაღალი ღირებულება – ზნეობა. შენს მიერ ჩადენილი საქციელი უნდა უპასუხებდეს ამ საყოველთაოდ დადგენილ ზნეობრივ ნორმებს და ვინც ამას არ ემორჩილება, ის საზოგადოებისთვის მიუღებელი და სამარცხვინოა.

მართალია, მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ახლაც მეუფლება უსაზღვრო თაყვანისცემის გრძნობა ის ჭეშმარიტი გმირის წინაშე, რომელმაც უცხო ადამიანების გარემოცვაში, მაშინ, როცა მას თვითმფრინავის მგზავრებს შორის ყველაზე ნაკლებად ევალებოდა სხვათა გადარჩენაზე ფიქრი თუ ზრუნვა, თავისი მაშველი „ჟილეტი" პატარა გოგონას დაუთმო, თავად კი დაიღუპა. ეს კაცი ჩვენი თანამედროვე, ცნობილი მეცნიერი იოსებ ჟორდანია გახლდათ, რომლის სახელსაც დღეს მისი ინსტიტუტი სიამაყით ატარებს.

რჩეულის სახელის ტარების უფლება მხოლოდ ასეთი ამაღლებული, ზნეკეთილი ბუნების ადამიანებს აქვთ.

დღეს მსოფლიოში მრავალი ქველმოქმედი და მეცენატია. ზოგი ამას სახელის მოსახვეჭად ეწევა, საზოგადოებაში თავისი იმიჯის დასამკვიდრებლად და ზოგიც სიმდიდრის დასაგროვებლად ან უკანონოდ შეძენილი ქონების საკომპენსაციოდ, ზოგსაც შორსგამიზნული პოლიტიკური ამბიციები აქვს... საკუთარი სიმდიდრის განკარგვა მისი მფლობელის საქმეა. ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისათვის, მთავარია, ამ სიმდიდრის რაღაც ნაწილი მაინც მოხმარდეს შემოქმედებას, მაგრამ ამას გმირობად ვერ შევრაცხავ.

თუმცა არიან მაღალზნეობრივი, ეროვნული სულისკვეთების ქველმოქმედებიც. სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ისეთივე ქართული ფენომენია, როგორც მხატვრობაში ფიროსმანი. ნუ შეგაშინებთ ეს შედარება, რადგან რასაც ეს კაცი აკეთებს, სწორედ რომ განსაკუთრებულ სულიერებასა და ბუნებით მომადლებულ, თვითმყოფად ნიჭს მოითხოვს. მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ყოველგვარი უკუგების გარეშე მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს, საზოგადოების, მათი სამომავლო ინტერესების, მეცნიერების, სულისკვეთების, კულტურის, ხელოვნების, განათლების, აღმშენებლობის წინსვლისთვისაა გამიზნული. მისეული თავმდაბლობა და მოკრძალებაც გასაგებია, მაგრამ მე პირადად მიმაჩნია, საჭიროა ამ პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოჩენა, რათა ყველამ გაიცნოს და სრულად აღიქვას ეს გამორჩეული ადამიანი.



დიახ, ბატონი ბიძინა კატეგორიულად წინააღმდეგია მისი საქმეების „აფიშირებისა". ესეც გასაგებია, მაგრამ წარმოუჩენლობაც სწორი არ იქნება.

კეისარს – კეისრისაო, ნათქვამია. სიკეთემ თუ არ იზეიმა, ადამიანებმა თუ არ დაინახეს იგი და ამით არ აღეძრათ პატივისცემისა და მადლიერების გრძნობა, დავკარგავთ მთავარს, მაღალი ზნეობრიობის დაფასების გრძნობას, რისთვისაც ღმერთმა ჩაგვბერა თავისი სული...

ბიძინა ივანიშვილობა, მისი გამეორება ძნელია, მაგრამ ის, რასაც ეს კაცი აკეთებს ყველასათვის, მაგალითი უნდა იყოს საიმისოდ, რომ ქვეყნად ბოროტებას სიკეთე სჭარბობს, თამამად დააბიჯებს, რაც კაცობრიობის მარადიული არსებობის საფუძველია.

აქაც ხალხს მოვუსმინოთ, უპირველესად. იგი ბრძენია, ჰაიჰარად არაფერს ამბობს. ამ წერილსაც სწორედ მათი შეგონებით დავასრულებ: დიდმა პოეტმა ასე ხატოვნად რომ გვითხრა: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად".

**ოთარ გაგუა,**
**ენციკლოპედია „აჭარის" საგამომცემლო შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელი.**

◎ ევრო – 2008

# იმპერატორის სადიდებელი



**ბაშთურქი, თექე, ჰასან შაში, ჰაქან შუქური, ჰამით ალთინთოფი – ეს ის ხუთეულია, თურქეთის ნაკრების თავკაცმა ფათიჰ თერიმმა სამშობლოში რომ დატოვა და ამით თანამემამულეთა რისხვა დაიმსახურა.** ცეცხლზე ნავთი პორტუგალიელებთან ევროპის ჩემპიონატის სასტარტო მატჩის ჩაფლავებამ დაასხა. თითქოს კატასტროფას ალაფერი უკლდა – შვეიცარიასთან ყოფნა-არყოფნის შეხვედრაშიც მასპინძლები წარმოშობით ოსმალომ იაკინმა დააწინაურა, რასაც ხელი გარკვეულწილად კოკისპირულმა წვიმამ და დატბორილმა სარბიელმა შეუწყო. სწორედ ამ დროს განახორციელა მეტოქისთვის საბედისწერო შეცვლები იმპერატორად სახელდებულმა თერიმმა და ბრძოლაში სენთურქის ჩაზმით თამაშის ხასიათში გარდატეხა შეიტანა. ალბათ, ლოგიკურიცაა, ანგარიში სწორედ მან რომ გაათანაბრა, სლოვაკი მსაჯის მიხელის მიერ დამატებულ დროში კი ალპური ქვეყნის შვილებს მომაკვდინებელი დარტყმა თურანმა მიაყენა. ამ ეპიზოდში ბურთი მიულერს შეეხო და რიკოშეტით კოზი კუნის გუნდის კარის ბადეში აღმოჩნდა 2:1. ასე დაემშვიდობნენ ფორუმს ერთ-ერთი ორგანიზატორი სახელმწიფოს წარმომადგენლები. დავძენთ, რომ ფუჭი გამოდგა ზოგ-ზოგიერთთა შიში – შვეიცარიელთა და თურქთა სამიწლისწინანდელი სკანდალური დუელი არ გაგრძელებულიყო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა.

რაც შეეხება **„ა“ ჯგუფის** ფავორიტების – პორტუგალიელთა და ჩეხთა ცხარე შერკინებას, ლუის ფელიპე სკოლარის შეგირდებმა, ვინც „ევრო-2008“-ის შემდეგ „ჩელსის“ ჩაუდგება სათავეში, კიდევ ერთხელ გაახარეს გულშემატკივრები ლაღი ბურთაობით – 3:1 (დეკუ, რონალდუ, კვარეჟმა; სიონკო).



**პორტუგალია – 6, ჩეხეთი, თურქეთი – 3-3, შვეიცარია – 0 ქულა.**

◎ ადამიანი დროში

# ცრემლმორეული თვალების სითბო

**მსაჯმა მოჭიდავეებს ხალიჩის შუაგულისკენ უხმო და ორთაბრძოლის დაწყების ნიშანიც მისცა. მისალმება ძლივს მოასწრეს, რომ ლურჯმაისურიანი ფალავანი ფეხებში ჩაუხტა მეტოქეს, ძალუმად აქაჩა და ბეჭებზე დასცა. იხუვლა დარბაზმა.**

**–სწრაფად წამოვხტი ზეზე და მზერა უმალ მამისკენ გავაპარე. იგი სხვებთან ერთად ტაშს მიკრავდა და ცრემლმორეული თვალებით მომჩერებოდა სახეგაბადრული. იმ თვალების სითბო დღემდე არ მშორდება, – მითხრა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა სპარტაკ ქარსაულიძემ, სპორტული კარიერის პირველი დღეების გახსენება რომ ვთხოვე.**

ასე დაიწყო მისი საჭიდაო გზა, რომელსაც ტანვარჯიშში უძლოდა. პატარაობიდანვე ღერძთან და ორძელთან ვიქტორ გარსიაშვილმა დაამეგობრა, თუმცა სახელოვანი მოჭიდავეებით განთქმულ საგარეჯოში დაბადებული და გაზრდილი ჭაბუკი ტაიჭსა და რგოლებს დიდხანს არ შერჩენია. თავისუფალ ჭიდაობას ვანო მეკოკიშვილმა აზიარა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სპარტაკ ქარსაულიძემ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლაში განაგრძო სწავლა. აქ დაუკავშირდა მიხეილ თიკანაძეს და მისი ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. 1962 წელს, უკვე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა, მომდევნო წელს კი საქართველოს პირველობაზე აჯობა ყველას.

– ჩემპიონობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების იმ ოთხ კაცში ვერ მოვხვდი, რომლებსაც თბილისის საერთაშორისო ტურნირზე 63 კილოში საბჭოეთის სპორტული ღირსება უნდა დაეცვათ, – განაგრძო თხრობა ბატონმა სპარტაკმა. – დაღონებული დავბრუნდი შინ. მაშინ დეიდასთან ვცხოვრობდი. იგი საზოგადოება „ცოდნაში“ მუშაობდა. ჩემი უხასიათობის მიზეზი რომ გაიგო, მეორე დღესვე თავისი უფროსისთვის უამბია ყველაფერი. ის კაცი კი ვახტანგ ბალავაძის მეგობარი ყოფილა და მისთვის უთხოვია თანადგომა. ბატონი ვახტანგი მაშინ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა და საქართველოს ნაკრების წევრებსაც ავარჯიშებდა. „პეტრეს დარბაზში“ გვეწვია იგი და მეორე დილისთვის სპორტის სასახლეში აწონვაზე დამიბარა.

– სადებიუტო ორთაბრძოლაში პოლონელ ჟურავსკის ვძლიე. მერე კიდევ შვიდი მეტოქე დავამარცხე, მათ შორის – ნახევარფინალში ფინელ მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების პრიზიორ იასკარის ვაჯობე, გადამწყვეტ პაექრობაში კი ირანელ მსოფლიო ჩემპიონ სეიფურს მოვუგე. უნდა გენახათ, სპორტის სასახლის გადაჭედილ ტრიბუნებზე რა ხდებოდა!

სპარტაკ ქარსაულიძემ 1965 წელს კვლავ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლის უფლებაც დაიმსახურა. იმ წელიწადს ოთხ-ოთხ წონით კატეგორიაში შეჯიბრებებს თბილისმა და ერევანმა უმასპინძლეს. საქართველოს დედაქალაქში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ტარიელ ალიბეგაშვილი (52 კგ), სპარტაკ ქარსაულიძე (63 კგ), გურამ სალარაძე (78 კგ) და შოთა ლომიძე (87 კგ). სომხეთის დედაქალაქიდან „ოქროთი“ დაბრუნდა ზარბეგ ბერიაშვილი. ეს იყო ქართველი ფალავნების ნამდვილი ტრიუმფი.





– იმ წელიწადს ჩვენი ზეიმი ამით არ დამთავრებულა, – მითხრა ბატონმა სპარტაკმა. – დეკემბრის მიწურულს ტალინში საბჭოთა კავშირის გუნდური თასი გათამაშდა. მთავარი პრიზისთვის 15 მოკავშირე რესპუბლიკისა და ლენინგრადის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ქვეჯგუფში ყველას ვძლიეთ, ფინალში კი რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებს ვაჯობეთ.

**– 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რატომ არ წაგიყვანეს?**

– საწვრთნელ შეკრებაზე კი მიმიწვიეს, მაგრამ მერე რა მოხდა არ ვიცი – ტოლედოში თედეევი გაამგზავრეს, რომელიც პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობისას მხოლოდ მეექვსე ადგილს გამორჩა. მწვრთნელებმა რატომღაც 1966 წელსაც შემაქციეს ზურგი – საბჭოთა კავშირ-ირანის მოჭიდავეთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩისთვის ლენინგრადელ იაბლოკოვს უხმეს, რომელიც თეირანში სეიფურთან დამარცხდა. მე და ალიბეგაშვილი, გულის მოსაგებად, ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გაგვიშვეს. პირველი ადგილები დავიკავეთ. მოსკოვში დაბრუნებულებს მაშინდელ კომკავშირის ცეკაში ოლიმპიური იმედიც კი გვიწოდეს, მაგრამ ზაფხულის თამაშებამდე ვინ მიგვიშვა! 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, სამწუხაროდ, გადამწყვეტ შეხვედრაში დავმარცხდი, რაც საკმარისი აღმოჩნდა, ჩემთვის უცხოეთის გზა გადაეკეტათ. მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაინც მიმიწვიეს წახკაძორში საკავშირო საწვრთნელ შეკრებაზე. უარი ვთქვი – უმიზნო წოწიალს სწავლა ვამჯობინე, თუმცა პროფესიით მუშაობის დროსაც სპორტისთვის ზურგი არასდროს შემიქცევია...

სპარტაკ ქარსაულიძეს, მართლაც, ხშირად ნახავთ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებზე, მოჭიდავეთა დიდი ოჯახის ჭირსა თუ ლხინში და, რაც მთავარია, ქველმოქმედებითაც გამოირჩევა. სახელოვან სპორტსმენს მოახლოებულ პეკინის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ვთხოვე აზრის გამოთქმა.

– მძიმე ოლიმპიადა იქნება, მაგრამ მჯერა ჩვენი ბიჭების, კარგი ფალავნები გვყავს ძიუდოსა და ჭიდაობაში – როგორც „კლასიკურში“, ისე თავისუფალში. იმედია, ისინი მედლებით გაგვახარებენ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: სპარტაკ ქარსაულიძე ხალიჩაზე; საბჭოთა კავშირის 1965 წლის თასის მფლობელი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები.**

◎ ველორბოლა

# პირველად საქართველოში

**ველოსპორტის ეროვნული ფედერაციის (ბესო ნადირაძე) და დედაქალაქის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის (ზაზა დოლიძე) თაოსნობით სტარტი აიღო ამიერკავკასიის პირველმა ღია პირველობამ ახალგაზრდა ქართველ, აზერბაიჯანელ, თურქ და სომეხ ველოსიპედისტთა მონაწილეობით (მთავარი მსაჯი – რუსლან ჯაოშვილი).**

კომპანია „ლუკოილის“ სპონსორობით მიმდინარე ასპარეზობის ორი ეტაპის (ანანური – მცხეთა – თბილისი, წითელი ხიდი – გაჩიანი – თბილისი) შემდეგ თურქი სტუმრები დაწინაურდნენ. აღსანიშნავია, რომ 30 მეტოქესთან დავაში საპატიო მესამე პოზიციაზე ჩვენი თანამემამულე გიორგი ნადირაძე იმყოფება.

მეზობელთა ტურნირის გამარჯვებულსა და პრიზიორებს დღევანდელი დასკვნითი ეტაპი – მუხიანის კრიტერიუმი გამოავლენს.

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**





# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 27 ივნისს დღის 12 საათზე, სამტრედიაში, რესპუბლიკის №6-ში (სამტრედიის ყოფილი ზონალური საგადასახადო ინსპექციის შენობაში) კოოპერატივ „მეგობრობას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ტრაქტორების სადგომი, შენობა რკინა-ბეტონის სვეტებზე, 345კვმ. შეფასებულია 3500 ლარად,
2. წისქვილის შენობა, აგებულია აგურით, დახურულია აზბესტო-ცემენტის ფურცლით, შეფასებულია 1600 ლარად,
3. თავდაცვის თავშესაფარი ნაგებობა, შეფასებულია 100 ლარად,
4. ფარცხი, შეფასებულია 30 ლარად,
5. ეზოს შემორაგვა, შეფასებულია 5500 ლარად,
6. ხის ფარდული, შეფასებულია 150 ლარად,
7. სასმელი წყლის ჭა, შეფასებულია 200 ლარად,
8. ავტომობილი „კავზი“, შეფასებულია 1500 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 12580 (თორმეტიათას ხუთას ოთხმოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1. ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 27 ივნისს 14 საათზე, წყალტუბოში, რუსთაველის №24-ში (წყალტუბოს ყოფილი ზონალური საგადასახადო ინსპექციის შენობაში) „წყალტუბოს სამომხმარებლო კოოპერატივის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ქვიტირის №32 მაღაზია, ერთსართულიანი, 133,1 კვმ. შეფასებულია 4500 ლარად,
2. საყულიის №29 მაღაზია. □ერთსართულიანი შენობა, საჭიროებს შეკეთებას, 260,5კვმ, შეფასებულია 4500 ლარად,
3. მესხეთის №16 მაღაზია, ერსართულიანი შენობა, 190,3 კვმ, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 3500 ლარად,
4. ჯიხური ლითონის გეგუთში, 12,4კვმ, შეფასებულია 700 ლარად,
5. გუმათის სამრეწველო მაღაზია, ერსართულიანი შენობა, საჭიროებს შეკეთებას, 140,6 კვმ, შეფასებულია 4000 ლარად,
6. ხომულის №20 სამრეწველო მაღაზია, ერსართულიანი შენობა, საჭიროებს შეკეთებას, 58,6კვმ, შეფასებულია 500 ლარად,
7. რკინიგზის ჩიხი თერნალში, საჭიროებს შეკეთებას, 382 გრძ. მეტრი, შეფასებულია 48000 ლარად,
8. რესტორანი „სათაფლია“, ერთსართულიანი შენობა, აგებული წვრილი ბლოკითა და აგურით, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 6300 ლარად,

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 72000 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1. ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

**სს „ვაკეს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აცხადებს, რომ ა/წლის 30 ივნისს ტარდება აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ვაკეს“ 2007 წლის სამეურნეო-ფინანსური შედეგები, აუდიტორის დასკვნა;
2. საფინანსო შედეგების დამტკიცება;
3. აუდიტორის არჩევა;
4. დივიდენდების შესახებ.

კრება გაიმართება ქარხნის სააქტო დარბაზში (თამარაშვილის შესახვევი №15ძ დღის 12 საათზე.

რეგისტრაცია დაიწყება 11.30 საათზე, დასასრული 12 საათზე.

ფიზიკურმა პირებმა იქონიონ დამადასტურებელი დოკუმენტი, იურიდიულმა პირებმა წარმოადგინონ მინდობილობა.

**სს „ვაკეს“ დირექცია**

**ხსოვნა**

# უერთგულესი მოქალაქე, შვილი და ჯარისკაცი



გრიგოლ ქობალია...

ისიც თავის ბედისწერას ეკუთვნოდა.

აკეთებდა გაცილებით იმაზე მეტს, ვიდრე შეეძლო:

საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალიდან განზე წამითაც არ გაწეულა საკუთარი მძიმე ჭაპანი ეზიდა, საკუთარი ხნულის გავლებას ცდილობდა და ეს არ იყო იოლი.

ბუნებითაც მშვიდს, თბილსა და კეთილს, ადამიანის სჯეროდა. თავადაც უანგაროდ იდგა ახლობლების, გნებავთ, ახლად გაცნობილი, მაგრამ შეჭირვებული თანამოქალაქეების გვერდით.

სანაცვლოდ არასოდეს არაფერს ითხოვდა.

ერთი თბილი, სიყვარულით განათებული, გულიდან ამოსული სიტყვა მისთვის საკმარისი იყო.

გაჭირვებაც ბევრი ნახა. მაგრამ... სიჭარმაგეში თავს დამტყდარმა ტრაგედიამ გაანახევრა, — ვაჟიშვილი, ლევანი სიცოცხლეს მოულოდნელად გამოემშვიდობა.

ჭირმა ვერ მოდრიკა.

რევოლუციურ ეიფორიასა და ქარ-ბორიაში ჩაება და წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახდა. ხალხის რჩეულს საფიქრალ-საოხარი გაუბევრდა. რადიკალურ ცვლილებათა მომხრესა და მოიმედეს ქვეყნის სწრაფი, შეუქცევადი განვითარებისა სჯეროდა.

ნოემბრის ცნობილმა მოვლენებმა ღრმად ჩააფიქრა. ბევრს ფიქრობდა შეცდომებზე, თუმცა, ხელისუფლების მიერ აღებული კურსისა სჯეროდა და მისი ერთგული ბოლომდე დარჩა.

ქვეყანამ უერთგულესი მოქალაქე, შვილი და ჯარისკაცი დაკარგა.

სამშობლო მისთვის ყველაფერი იყო.

თუმცა, მისდამი მოწიწებასა და სიყვარულში ისიც თავისთავს ვერ აღემატა და დამაშვრალი ზეციურ საქართველოში გადასახლდა. ეგებ იქ მაინც ჰპოვოს მისმა სულმა ნეტარება და სიმშვიდე.

**არნოლდ ჟვანია,**
**ბორის ქარსელაძე,**
**ბადრი ცირამუა**

მეუღლე კალისტრატე, შვილები ცისანა, სოსო შარტავები, რძლები ლია შარტავა, ნუნუკა ალასანია, ნორა, თალიკო დარასელიები, ნინო ჯიშკარიანი, მარინა გოგია, ნინო გოჩიტაშვილი, შვილიშვილები კახა, ირაკლი, რატი, ლაშა შარტავები, ლევან, გიორგი როინიშვილები, შვილთაშვილები ჟიული, გიორგი, ლიკა, ქეთევან, თარაშ, მედეა, ირმა შარტავები, ერეკლე როინიშვილი, ძმისწულები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფენია (ნინოძ ტარასის ასული დარასელია-შარტავა

პანაშვიდი 13, 14 VI, 17 სთ. მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. №6, გამოსვენება 15 VI, 15 სთ. წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ხარების ეკლესიიდან.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დედა, ღვაწლმოსილი და დამაშვრალი ადამიანი

ფენია დარასელია-შარტავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ ცერცვაძე, ანა თოფურია თანაუგრძნობენ ცისანა შარტავას დედის

ფენია დარასელია-შარტავას

გარდაცვალების გამო.

---

მერცია ბოსტოლანაშვილი, მანანა მალანია, ლალი ჭილაია, ნანა ნაცვლიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფენია დარასელია-შარტავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლევან ჩიჩუას ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჟიული შარტავას დედის

ფენია დარასელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კომპანია „ჯეომედია“ გთავაზობთ ქართულ-უცხოური პრესისა და სხვადასხვა თემატიკის წიგნების მიწოდებას ორგანიზაციებსა და ბიზნესში.
ტელ: 95 51 70 (ოფისიძ
geomediapress @ yahoo. com
მის. გ. ჩუბინაშვილის ქ. 50.

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

◉ გამოფენა-კონცერტი

# ექსპერიმენტი, რომელიც გამართლდა



**გამოფენა-კონცერტი, რომელიც კონსერვატორიის საორკესტრო დარბაზში გაიმართა, შემეცნებით ხასიათს ატარებდა (პროექტის ავტორი – სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე ია ესვანჯიაძ, აქ თავი მოეყარათ სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის სტუდენტებს, პედაგოგებს. სანოტო პულტებზე გამოფენილი ფერწერული კომპოზიციები სიმბოლურად უსვამდა ხაზს პროექტის შინაარსს.**

შესრულდა კლოდ დებიუსის, მორის რაველის, ფრედერიკ შოპენის მუსიკა. ასრულებდნენ კონსერვატორიის სტუდენტები: სოფო ოდიშარია, გვანცა ბუნიათიშვილი (ორივე თენგიზ ამირეჯიბის კლასიძ, ელენე ქობულაშვილი (რევაზ თავაძის კლასიძ, ალეკო ვასაძე (ედიშერ რუსიშვილის კლასიძ, ქეთი ჩხარტიშვილი (ბეჟან ნამგალაძის კლასიძ, რომლებსაც ორგანიზაციას უწევდა კონსერვატორიის სტუდენტი გიორგი შამანაური.

გამოფენაზე სჭარბობდა აბსტრაქცია, თუმცა იყო რეალისტურად და იმპრესიონისტულად შესრულებული ფერწერული ტილოებიც, რომლებშიც ჩანდა უკვე ჩამოყალიბებულ ხელოვანთა ხელი, რაც უთუოდ ფერწერის ფაკულტეტის (დეკანი გია გუგუშვილიძ პედაგოგთა (გია გუგუშვილის, გიგა ლაპიაშვილის, მეგი წითლიძის, ეკა გელოვანის, რადიშ თორდიას, გივი თოიძისძ დიდი დამსახურებაა.

ამ გამოფენა-კონცერტმა კიდევ ერთხელ აჩვენა მომავალ ხელოვანთა აზროვნებისა და ხედვის ფართო დიაპაზონი, ინტელექტი, კომპლექსური აზროვნება, რასაც სპეციალურ საგნებთან ერთად ასევე ხელს უწყობს საგნის სახვითი ხელოვნების, არქიტექტურისა და მუსიკის კავშირების შესწავლაც.

**ლია ჭილლაძე,**

**სურათზე: გამოფენის მონაწილე სტუდენტთა ერთი ჯგუფი.**

◉ ჩვენებურზე

# დიდი სკულპტორი მცირე ეროტიკაში წავიდა

## ცნობილმა მოქანდაკემ პირველად წარუდგინა საზოგადოებას თავისი მოურიდებელი ნახატები



**მამაკაცი და ქალი სექსს ეძლევიან. მამრი დგას, მდედრი მაგიდაზე წევს. არცთუ უსახელო მამაკაცური ორგანო მსხვილი პლანითაა! ასეთი და სხვა მსგავსი ნახატები გამოჩნდა მოსკოვის გალერეაში „ფაინ-არტი“. ავტორი გახლავთ ზურაბ წერეთელი.**

– ჩანახატებს ნატურიდან კი არა, მახსოვრობით ვაკეთებდი, – დაამშვიდა მაესტრომ აღელვებული მაყურებლები გამოფენის გახსნისთანავე.

გამოირკვა, რომ მონუმენტალისტი აქანდაკებდა სკულპტურულ კომპოზიციას „ვაშლი“, სადაც ეროტიკული სცენები ლითონშია შესრულებული. ლითონში მოსახვედრად კი საჭიროა ჩანახატები ქაღალდზე, ჰოდა, წერეთელმაც ბარე 23 ცალი ჩახატა! შიშველი მამაკაცები, ქალები, იმათი მთელი ჯგუფები, სურვილობით დაკავებულნი, –ხალხი არ ელოდა ასეთ რამეს მოქანდაკისაგან! რაღაც კამასუტრაზე უფრო მაგარს!

– აგერ, ყველა ამბობს, ზურაბი დიდ სკულპტურებს აკეთებსო, მაგრამ ის ხომ პატარა ნახატებსაც აკეთებს. ესეც ხელოვნებაა, – კომენტარი დაურთო თავის წამოწყებას ოდნავ წამოჭარხლებულმა წერეთელმა.

ნახატები მართლაც მომცროა, 30X40 და 50X60 სანტიმეტრზე. მთავარია, რომ ხელოვანმა ჩვეულ ფორმატში არ დაიწყოს იმათი ხორცშესხმა...

**ლუკა თამაზიშვილი**

**რუსეთული პრესის მიხედვით**

◉ ინფორმაცია

## მტკვარზე დაკიდულ ხიდს აღადგენენ

**კასპის რ-ნის სოფელი ქვემო გომში დაიწყო მდინარე მტკვარზე ე.წ. დაკიდული ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები. ამ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სს „კასპიცემენტში“ მუშაობს და გადაადგილების ძირითად საშუალებად აღნიშნულ ხიდს იყენებდა.**

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოსახლეობის შეუფერხებელი მოძრაობისათვის სოფელს ავტობუსიც გამოუყო.

ავტობუსი ხიდის დამთავრების შემდგომაც იმუშავებს, მას ერთჯერადი აქციის სახე არ აქვს.

**ХИ-ЭИБ-ЭИИ**

◉ გვწერენ

# ფეხზე დამაყენეს

**წლეულს გაზაფხულზე ძლიერმა ტკივილებმა შემაწუხა. რაიონის ექიმების რჩევით, თბილისში ოთარ ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ზოგად ქირურგს ბატონ ნიკოლოზ ლომინაძეს მივმართე საკონსულტაციოდ.** ოპერატიულად მოწვეულ კონსილიუმზე სასწრაფო ოპერაცია გადამიწყვიტეს. ბატონი ნიკოლოზის პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით ყველაფერი კარგად დასრულდა. დღეს გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს და უკვე საოჯახო საქმეებსაც არ ვერიდები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჩემს მხსნელ დასტაქარს – ნიკოლოზ ლომინაძეს და განყოფილების მთელ მედპერსონალს.

**პატივისცემით ლეილა გეგენავა,**
**ხობი, სოფ. ხეთა.**

**იყიდება ბინა!**

**5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.**

◉ ინფორმაცია

## დაიწყო აბიტურიენტთათვის ბარათების გაცემა

**გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტთა პლასტიკური ბარათების გაცემა დაიწყო.**

როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრიდან იტყობინებიან, აბიტურიენტებს პლასტიკური ბარათების აღება იმ სარეგისტრაციო პუნქტებში შეუძლიათ, სადაც 2008 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირდნენ.

პლასტიკური ბარათები 25 ივნისის ჩათვლით გაიცემა. აბიტურიენტი, რომელიც პლასტიკურ ბარათას არ წარადგენს, გამოცდაზე არ დაიშვება.

იმ შემთხვევაში, თუ პლასტიკური ბარათი სარეგისტრაციო პუნქტში არ აღმოჩნდა, აბიტურიენტმა ეროვნული გამოცდების ცენტრს უნდა მიმართოს (ჯავახიშვილის, 60ძ.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-**

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

პოლიციელებმა გადამთვრალი მამაკაცი დააკავეს.

– სად მუშაობთ? – ეკითხებიან.

– სუპერმარკეტში ყასაბი ვარ.

დიდი პატივისცემით მიაცილეს სახლში.



– იგი მართლაც ყასაბია? – ეკითხებიან მის ცოლს.

– არა, რას ამბობთ, უნივერსიტეტის პროფესორია, მაგრამ სიმთვრალეში ზოგჯერ განდიდების მანია აწვალებს.

* * *

– მიხო, თუ გახსოვს, ხვალ რა დღეა? – ეკითხება მარო.

– რა თქმა უნდა, ჩვენი ქორწინების 10 წლისთავია.

– მერე როგორ აღვნიშნოთ დღესასწაული?

– რომელი დღესასწაული?

* * *

ორი ცისფერი პაემანს ათანხმებს:

– ესე იგი, მოვილაპარაკეთ, 8 საათზე – კინოთეატრთან.

– ჰო. და ვინც დააგვიანებს, გოგოც ის იყოს.

* * *

– ბავშვობის დროინდელი ერთი ნატვრა მაინც თუ აგიხდა? – ეკითხება ტიპი ძმაკაცს.

– კი, ამიხდა. როცა მამაჩემი თმებით მათრევდა, ვნატრობდი, ნეტავ მელოტი ვიყო-მეთქი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.